

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა

ივლისი
№ 7 1974 წ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა ვნუკოვოს აეროდრომზე. საკდესის ფოტოქრონიკა.

# ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის ვიზიტი

1974 წლის 27 ივნისიდან 3 ივლისამდე სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რიჩარდ მ. ნიქსონი მეუღლითურთ.

პრეზიდენტთან ერთად მოსკოვში ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰ. კისინჯერი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე ა. ჰეიგი, პრეზიდენტის თანაშემწე და პრესმდივანი რ. ზიგლერი და სხვა თანხლები ოფიციალური პირები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის ორმა უწინდელმა შეხვედრამ უმაღლეს დონეზე ხელი შეუწყო უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებას ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის. საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა ახლანდელი შეხვედრა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მოვლენა იყო და მას მთელი მსოფლიო შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალს.

საბჭოთა ხელმძღვანელებსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს შორის გაიმართა აზრთა საფუძვლიანი და სასარგებლო გაზიარება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობისა და თანამედროვე მსოფლიო ვითარების ძირითად ასპექტებზე.

მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის გრძელვადიან შეთანხმებებს ეკონომიური, სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეწყობის შესახებ. ხელი მოაწერეს დოკუმენტებს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა შეზღუდვის შესახებ, ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდის შეზღუდვის შესახებ, ერთობლივ განცხადებას იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიზანია აღიკვეთოს ბუნებრივ გარემოზე სამხედრო მიზნებით ზემოქმედების საშუალებათა გამოყენების საფრთხე.

გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომუნიკე, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას პოლიტიკურ, ეკონომიურ თუ კულტურულ დარგებში.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა ფრიად საქმიან, კონსტრუქციულ ვითარებაში და მას ახასიათებდა ორივე მხარის მისწრაფება მათ შორის ურთიერთგაგების, ნდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისადმი, და სურვილი, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ საერთაშორისო უშიშროებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებაში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 7 (451) ივლისი, 1974 წ.
გამოცემის წელი 51-ე

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1974

# ყველაფერი ხალხის კეთილდღეობისათვის

# რაც ფესვში ჩასახულია

გიორგი ნატროშვილი

გიმღერ და მასაც ვუმღერი,
რაც ფესვში ჩასახულია,
რაც შენს კოკორში, თბილისო,
საფურჩქნად განზრახულია.

გიორგი ლეონიძე.

მაისის პირველი რიცხვები იყო. მთავრობის სასახლის დიდ დარბაზში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მიმდინარეობდა. ტრიბუნაზე ორატორი ორატორს სცვლიდა. ლაპარაკი იყო დღევანდელზე და ხვალინდელ პერსპექტივებზე, რესპუბლიკის ეკონომიკის ზრდის სტრატეგიულ ხაზზე, იმაზე, რაც „ფესვში ჩასახულია“ და „საფურჩქნად განზრახულია“ მარტო თბილისში კი არა, მთელ საქართველოში. ლაპარაკი იყო ტრანსკავკასიონის მაგისტრალზე და ენგურის კაშხალზე, ჰესების ასაგებად გადადებულ ასეულ მილიონობით მანეთებზე და მოსალოდნელ მილიარდობით კილოვატსაათებზე, რუსთავის ფოლადზე და შირაქის პურზე, ნატანების ჩაის პლანტაციებზე და ტარიბანის ჰაბურღილებზე, გორის ხილის ბაღებზე და წინანდლის ვენახებზე... დარბაზში, ჩემს გვერდით, ერთი ცნობილი პოეტი იჯდა. დაძაბული ყურადღებით უსმენდა ორატორებს.

შესვენებისას, ფოიეში რომ გამოვედით, ფანჯარასთან დავდექით და სიგარეტებს მოვუკიდეთ. პოეტმა, სრულიად მოულოდნელად, გრიგოლ ორბელიანზე ჩამოაგდო სიტყვა. ფანჯრიდან, რუსთაველის პროსპექტს გადაღმა, ხელისგულივით ჩანდა ქაშვეთი (გრიგოლის საფლავი იქ არის) და ვიფიქრე, ძველი პოეტი ამიტომ თუ გაახსენდა-მეთქი.

— უნდა მიხვიდე კაცი და სანთელი აუნთო საფლავზე!

— ორბელიანი ახლა რამ გაგახსენა-მეთქი, — ვკითხე.

— ტრანსკავკასიონის მაგისტრალმა... არ იცი, ეს მისი ოცნება რომ იყო? „ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი, სხედან ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი“... იმდენ ხანს უტრიალა ამ ჩია ტანის კაცმა თვალშეუწვდენელ ბუმბერაზს, იმდენ ხანს ეომა, როგორც იყო, დააჩოქა და მერე გულის გაბურღვაც მოუნდომა... პირველი შეიძლო, მეორე კი, მეორე, მაშინ მტკნარი ოცნება იყო, მის ხორცშესხმას რევოლუცია უნდოდა... ჰოდა, აგერ მთელი საუკუნე გავიდა, ვიდრე ის იდეა ფანტაზიიდან საქმედ და ზუსტ საინჟინერო პროექტად იქცეოდა...

მეც, ცხადია, გამახსენდა, წაკითხული რომ მქონდა ეს ამბავი. პოეტი კი განაგრძობდა:

— ხომ ისე ითვლება, წარსულს მისტიროდაო, აწმყოსა და მომავალში სანუგეშოს და საიმედოს ვერაფერს ხედავდაო... ტყუილია. თურმე ძალიანაც კარგად ხედავდა. მისი ჩანაწერები თუ გახსოვს?

— გამახსენე რომელ ჩანაწერებს გულისხმობ?

— აი, სადაც მთელი მსოფლიოს საკვირველებანი და საოცრებანი აღუნუსხავს... იქაც კი ეტყობა, როგორი აზარტი ჰყვარებია საქმეშიც. იქ ერთი ასეთი ამბავი ჩაუწერია: ინგლისში თურმე ერთმა კაცმა სანაძლეო დასდო — აი, ცოცხალ ცხვარს ხომ ხედავთ, საღამომდე ამისაგან ახალ კოსტიუმს გავაკეთებო. მართლაც, თურმე ერთ დღეში სასწრაფოდ გაპარსა, დაართო, მოქსოვა და შეკერა კიდეც ახალი კოსტიუმი.

— მართალი ხარ, ნამდვილი აზარტია! — დავუდასტურე მე.

— იცი, კიდევ რა ცნობები მოუგროვებია და ჩაუწერია — რომელია ისეთი სახლი მთელ დედამიწაზე, რომელსაც ყველაზე მეტი ფანჯრები აქვსო... მერე, ცნობები მადნებზე, საოკეანო გემებზე, ისიც, თუ ევროპაში რამდენი სასწავლებელია და რამდენი მოსწავლე, ასევე აზიაში, აფრიკასა და ავსტრალიაში... ყოველივე ამის მიღმა ჩანს მარტო პოეტი კი არა, საქმის კაცი, მეურნე, საქვეყნო საქმეზე ჩაფიქრებული ადამიანი. ამავე ფიქრმა შეახსენა მას ტრანსკავკასიონის რკინიგზა. თანაც, გოლიათი კავკასიონი ხომ მისი თაობის პოეტების თემა იყო. და, აი, ახლა ახალი კუთხით შემობრუნდა ეს ბუმბერაზი და თვალწინ დაგვიდგა. ტრანს ნიშნავს — „გაღმა“, „გამჭოლ“, „იმას იქით“... გაჰკვეთო ამხელა მთაგრეხილის ქვესკნელები და გახვიდე შიგ — თავისი ისტორიული მასშტაბებით ეს მართლაც რაღაც პრომეთესებური ღვაწლია, ისეთი გმირობაა, არ შეიძლება მწერლის ფანტა-







მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი.

სარედაქციო კოლეგია: გ. გახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, ა. მინდაძე, გ. ნატროშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.
კორექტორი ტ. თაბორიძე.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. საბ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

19410

ზიას ფრთა არ შეახხას... ინჟინრული აზრის გაქანებით, სირთულითა და თავისებურებით კავკასიონის საუღელტეხილო გზას ბადალი არ ეყოლება. თვითმფრინავისათვის კავკასიონი არ იყო დაბრკოლება, ახლა, ხედავ, აღარც მატარებელი უშინდება მთებს. არ არის მართლაც ხელსატაცი, მართლაც ეპოქალური თემა?

— რა თქმა უნდა, არის... ვატყობ, შენც გინდა შეექიდო იმ ბუმბერაზს...

— ვითომ რატომ არა! ჯერ ნუ გამამხელ და ვფიქრობ მაგაზე რაღაც-რაღაცეებს, — მითხრა პოეტმა, — თუ შევძელი, პოემას დავწერ, ასე ვთქვათ, რომანტიკულ ყაიდაზე. ვინ დასთვლის რამდენი ლექსი და პოემა დაწერილა კავკასიონის თემაზე. იქითა მხრიდან რუსი პოეტები შემოსცქეროდნენ მას, აქეთა მხრიდან — ქართველები... იქიდან — პუშკინი, ლერმონტოვი, ბესტუჟევ-მარლინსკი, ესენინი, მაიაკოვსკი, ტიხონოვი. აქედან — ალექსანდრე ჭავჭავაძე, თვითონ გრიგოლი, ილია ჭავჭავაძე თავისი თერგითა და დარიალით, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, ტიციანი, ლეონიძე, დღევანდელი ჩვენი პოეტები... ლექსმა და სიყვარულმა დიდი ხანია გაბურღეს კავკასიონი... წეღანაც ვამბობდი, პრომეთეს მასშტაბის თემაა... ბელინსკი ამბობდა— კავკასიამ აალორძინა და გაალვიძა პოეზიაო. დრომ, ეპოქამ, ხუთწლედმა ისევ მოაბრუნა პოეზია ამ თემისაკენ.

— მარტო ამ თემისაკენ?! ენგურჰესის მშენებლობაზე არ ყოფილხარ?

— როგორ არა! შარშან კალინინის რაიკომმა მოაწყო მწერლების გამგზავრება ენგურის ხეობაში... იქაც მასშტაბებმა, არ ვაჭარბებ, ფანტასტიკურმა მასშტაბებმა გამაოცეს... მომავალი კაშხალის სიღრმეს ჯვარზენიდან რომ ჩახედავ, თვალი აგიჭრელდება... ნამდვილი თვალჩაუწვდენელი უფსკრულია... ხოლო იქაური გვირაბები...

— წეღან შენ რომანტიკულ პოემაზე ლაპარაკობდი, — ვუთხარი მე, — ენგურჰესის თემაც თავისებურ ისტორიულ სიმბოლოებში, ფილოსოფიურ ასპექტში უნდა გადაწყდეს. ჩემი აზრით, ჯერჯერობით, ყველაზე კარგად აუღო ალღო და მოუძებნა ფორმა ამ სათქმელს გრიგოლ აბაშიძემ. მისი პოემა „ფიქრები ენგურის ხეობაში“, რომელიც ავტორმა სახელოვან გვირაბგამყვანს შუქრი აბაკელიას მიუძღვნა — პირველი კარგი ნაბიჯია და ალბათ კიდევ ბევრი დაიწერება ამ თემაზე. მაგრამ ამ პირველსავე ნაწარმოებში არის ძალზე საგულისხმო ორიენტირები და მინიშნებები იმაზე, თუ როგორ უნდა იწერებოდეს იმავე ენგურჰესზე თუ ტრანსკავკასიონზე. მე იმას კი არ ვამბობ, რომ სხვამაც გაიმეოროს ეს. არა. სხვამაც ასე თავისებური გზა უნდა მოძებნოს, ახალი, ჯერ უხმარი ფერები. ახლა მარტო გაუაზრებელი, ზედაპირული აღტაცებით, რაღაც საზეიმო პათეტიკით შორს ვერ წახვალ... სწერო ენგურჰესზე — ეს ნიშნავს სწერო მთელ ისტორიულ ეპოქაზე, სწერო კომუნიზმზე, როგორც ისტორიის ახალ მიჯნაზე, საიდანაც ადამიანის თვალი უფრო შორს ხედავს და გული უფრო მეტს გრძნობს. ენგური უნდა იქცეს შუქად, სინათლის ზღვად და ეს არ არის მარტო ბუმბერაზი ჰესის აშენება, ეს ახალი საქართველოს ისტორიაა. ისტორიას კი თავისი ეროვნულიცა და მსოფლიო ჰორიზონტიც აქვს. პოეტმაც თითქოს მთელი კაცობრიობის ისტორიას გადაავ-






















ლო თვალი, გაიხსენა ძველი ეგვიპტეც და ძველი რომის კატაკომბებიც: „დგანან ნანგრევნი, ნაშთი ძველთა დროთა დიდების, ზღუდენი დიდთა მდინარეთა გადამღობები, პირგამეხილი, ცადასული პირამიდები, ქვესკნელს ჩასული, თვალდათხრილი კატაკომბები... იყვნენ მონები, მორეკილნი სხვადასხვა მხრიდან, ხარაჩოებზე დაღოღავდნენ როგორც მღილები, მათ შიშველ მხარბეჭს მძიმე ტვირთი მიწამდე ხრიდა, და მაინც ზევით მიიწევდნენ დათოხილები... სამართალია? ფრესკებს ამკობს მათი მშვენება, ვისაც თითიც კი ხარაჩოზე არ გაფხაჭნია, ვუცქერ ძველ ძეგლებს, ხელთუქმნელებს და მეჩვენება, რომ მონის სისხლი სამარცხვინო დაღად აჩნია“... ჩვენმა დრომ კი ცამდე აამაღლა ოსტატთა სახელები, მათ შორის შუქრის სახელი.

— და კიდევ, იცი რა არის კარგი მაგ ლექსსა თუ პოემაში: პოეტი ამბობს, რომ ძნელი და რთულია ის, რასაც შუქრი აკეთებს და ასევე ძნელი და რთულია მასზე წერა, ისე როგორც ეს ჩვენს დროს, ამ დიდ ეპოქას შეჰფერის... მე მგონი, სწორედ ეს არის მთავარი; ალბათ, ამიტომ ჩნდება ამ პოემაში ჰამლეტის შორეული ლანდიც. პოეტი ასე მიმართავს თავის გმირს: „შენ საიდუმლო იცი კლდისა და ბნელი მიწის, მგოსნის ფიქრები კაცის სულის სიღრმეს სწვდებიან, იოლად ვიტყვით, მაგრამ ერთმა ღმერთმა თუ იცის, მათგან რომელი უფრო ძნელი ჩასაღწევია! ვინ უფრო ღრმად ჭვრეტს — მანქანებით ქვესკნელს ჩასული, თუ გატანჯული უფლისწულის სული მკვნესარი, როცა ტკივილი თვითონ ჰყვირის ეჭვით ჯვარცმული, ყოფნა, არ ყოფნა — საკითხავი აი ეს არის“...

— ჰო, კარგად არის თქმული... ამას ჩვენ უფრო მეტად უნდა დავუფიქრდეთ. ბევრმა ძალიან გააიოლა ეს დიდი და რთული საქმე... არაფერია უფრო ცუდი, ვიდრე ზერელე, გაუაზრებელი გამოხმაურება ამ თემებზე. ოსტატზე რომ სწერ, თვითონაც სიტყვის ოსტატი უნდა იყო, და არა ფინაჩი... ჩვენში კი, ვაი, რომ ძალიან მომრავლდნენ ეს ფინაჩები... გამოდის წიგნები, არც ხასიათები ჩანს, არც ფსიქოლოგიური სიღრმე, არც ენა უვარგა დამწერს. ასე არ შეიძლება გაგრძელდეს...

— არის ასეთი გამოთქმა: მწერლის შუქრა ცხოვრებაში. ეს შექრა მეტად რთული საქმეა. თანამედროვეობას ერთი დახედვით, ერთი თვალის გადავლებით, ერთი კვირის სტუმრობით ვერ შეისწავლი, საჭიროა არა მარტო მისი დათვალიერება, არამედ მისი გამოკვლევა... რთული დროა, ათასნაირი კონფლიქტები, დიდი სულიერი და ზნეობრივი ძვრები მიდის... ამიტომ უნდა იცოდე კაცის სულიც და ის საქმეც, რასაც ის კაცი მოსჭიდებია, ისე უნდა იცოდე, როგორც აგერ, წეღან, ამ ტრიბუნაზე გამოსულმა თელაველმა ბრიგადირმა ჯაშიაშვილმა ვენახი იცის, ან მეორე ორატორმა — ოთარ სულაძემ — ფოლადის გამოდნობის საქმე... მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქას თავისი ზნეობრივი ასპექტები აქვს. ასეთ რთულ დროს ჩვენ ჯერ არ მოვსწრებივართ და სწორედ ახლაა საჭირო ყველაზე მეტად დაძაბული მუშაობა, რომ ნამდვილად მხარში ედგე შენს ხალხს, რომ კვალდაკვალ გაჰყვე ამ ცხოვრებას და სულიერის სფეროში წინაც წაუძღვე... არ არის ეს ადვილი. მაგრამ უნდა შეიძლო. ამას მოითხოვს და მოელის შენგან ხალხი, ქვეყანა, პარტია.

ფოიეში ზარის წკრიალი გაისმა. მორიგი სხდომა იწყებოდა.

# მთელი ჩვენი ძალ-ღონე მოვახმაროთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებას!

## გული სიხარულით ივსება

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დაძაბული ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის მუშაობას.

პლენუმი, რომელმაც განიხილა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების ღონისძიებანი და რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები ალმა-ათაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის მიხედვით“, დიდი ამოცანების წინაშე გვაყენებს.

ქართველი ხალხი სიხარულის გრძნობით არის აღვსილი. ჩვენი მშრომელები მადლობას უძღვნიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ესოდენ ზრუნვაზე.

ახლა ჩვენ მეტი შრომა, თავდადება და შემართება გვმართებს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენს წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანების შესასრულებლად ამთავითვე ჩავყაროთ მტკიცე საფუძველი.



ორიოდე სიტყვა მინდა გითხრათ ჩვენი მუშაობის შესახებ. მებოსტნეობის ჯიშთა გამოცდის რგოლში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, თოთხმეტი მუშაა გაერთიანებული. შარშან ჩვენმა რგოლმა ბოსტნეულის წარმოების გეგმა 358 პროცენტით შეასრულა. არც წელს შეგვირცხვენია თავი. რაღა ბევრი გავაგრძელო, ხუთწლედის გეგმა უკვე შესრულებული გვაქვს და ახლა მეათე ხუთწლედის ანგარიშში ვმუშაობთ.

**როზა ტატიშვილი,**

მცხეთის რაიონის მუხრანის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

## წარმატება ჩვენს ხელთაა



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებებმა ჩვენი ქარხნის კოლექტივში განსაკუთრებული აღფრთოვანება და ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, სიამაყისა და მადლიერების გრძნობით ავსებს თითოეული ჩვენთაგანის გულს.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, ჩვენს წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით უზრუნველყოფა ახლა ჩვენს ხელთაა. სწორედ გამრჯე ადამიანის ხელით უნდა აშენდეს ახალი ქარხნები, აიგოს სხვადასხვა სამრეწველო ობიექტები, რკინიგზები, მოხდეს ძველ საწარმოთა რეკონსტრუქცია, გაიზარდოს კაპიტალური მშენებლობის მოცულობა, უფრო დიადი და ნათელი გახდეს ხვალინდელი დღე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებები ჩვენი შემდგომი მუშაობის საბრძოლო პროგრამაა.

ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადის წევრებს: ალექსი მერაბაშვილს, ფირუზ ოყროშიძეს და მე გადაწყვეტილი გვაქვს გაორკეცებული ენერგიით ვიშრომოთ. ავამაღლებთ შრომისნაყოფიერებას, დავზოგავთ ხუთი კილომეტრი საერთო სიგრძის ყველა სახის გამტარს, წარმატებით გავანაღდებთ მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გეგმებს. გვინდა ისე ვიმუშაოთ, რომ ახალმა ელმავალმა „ვკ-14“-მა, რომელიც ჩვენი ქარხნის კონსტრუქტორების შექმნილია, სახელმწიფო ნიშანი მიიღოს.

ასე ფიქრობს და ასე შრომობს ახლა ჩვენი კოლექტივის თითოეული წევრი.

ყველა გამრჯე და ჭეშმარიტად პატრიოტ ადამიანთან ერთად არც ჩვენ დავზოგავთ ძალასა და ენერგიას, რომ წარმატებით განვახორციელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებები.

**გურამ მეტონიძე,**

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ბრიგადირი, ლენინის ორდენოსანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეტროპოლიტენი



უბანი № 26

ჩვენს დედაქალაქში მეტრომშენებლობას ამ ორი ათეული წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი.

— უმრავლესობა ახალბედები ვიყავით, გამოუცდელები. არ გვქონდა სათანადო ტექნიკა. ბარით და წერაქვით გვიხდებოდა მუშაობა. მერე ჯიქურ შევუტიეთ ქვესკნელს. მალე ავულეთ საქმეს ალღო, სწრაფად ავითვისეთ გვირაბმშენებლის რთული და მძიმე ხელობა, დავოსტატდით, — იგონებს პირველ დღეებს ვეტერანი გვირაბმშენებელი, სოციალისტური შრომის გმირი გრუზა ობოლაძე.

იყო სიძნელეები, წინააღმდეგობანი, მაგრამ სწორედ ამ წინააღმდეგობათა დაძლევის გზით იჭედებოდა მომავალი შრომითი გამარჯვება.

და აი, 1966 წლის 11 იანვარს თბილისის მეტროპოლიტენმა ფართოდ გაუღო კარები დედაქალაქის მცხოვრებთ, მიწისქვეშა მაგისტრალებზე პირველად გაიქროლა მგზავრებით სავსე ცისფერმა ექსპრესმა.

1971 წლის 10 მაისს დამთავრდა თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის 11,5 კილომეტრიანი ხაზის მშენებლობა 11 სადგურით. ამჟამად ამ მანძილს მატარებელი 19 წუთსა და 30 წამში ფარავს. 20 მიწისქვეშა მატარებელი ყოველდღე 19,5 საათის განმავლობაში 760 რეისს აკეთებს და საშუალოდ 280 ათას მგზავრს ემსახურება. დღემდე ამ მოხერხებული, უსაფრთხო და სწრაფი ტრანსპორტით უკვე ისარგებლა 590 მილიონმა მგზავრმა.

* * *

თბილისის მეტროპოლიტენის სქემაზე აღნიშნული მოქმედი ტრასა წითელი წყვეტილი ხაზებით გრძელდება. ეს წყვეტილი ხაზები „ვაგზლის მოედნიდან“ იწყება და საბურთალოსკენ მიემართება (პირობითად ასე აღინიშნება მშენებარე მეტროპოლიტენის მეორე რიგი). ახლო მომავალში სქემა შეიცვლება, წყვეტილი ხაზები შეერთდებიან და მწყობრში ჩადგება კიდევ ერთი ახალი მიწისქვეშა ტრასა.

ახალი მაგისტრალი მეტროს პირველი რიგის გაგრძელებაა. ექვსკილომეტრიან ტრასაზე ოთხი მიწისქვეშა სადგური განლაგდება: „წერეთლის გამზირი“, „პოლიტექნიკური ინსტიტუტი“, „კომკავშირული“ და „დელისი“.

მეტროს მეორე რიგის მშენებლობა მინდობილი აქვს თბილგვირაბმშენის სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის (უფროსი ივანე ბერიტაშვილი) და № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის (უფროსი სერგო ჭურაძე) კოლექტივებს. მშენებლობა დაყოფილია ცალკეულ უბნებად და შახტებად. თითოეულ კოლექტივს დავალებული აქვს გადასარბენი გვირაბების, მიწისქვეშა სადგურებისა და მათი საესკალატორო გვირაბების მშენებლობა.

ტრასის მშენებლობა ორი წესით წარმოებს: სადგურ „წერეთლის გამზირიდან“ ვაჟა-ფშაველას გამზირის დასაწყისამდე გვირაბები დახურული წესით გაჰყავთ. მათი ფორმირება რკინა-ბეტონის და თუჯის უნიფიცირებული სამაგრებით ხდება.

ვაჟა-ფშაველას გამზირიდან გვირაბების მშენებლობა ღია წესით მიმდინარეობს.

მეტრომშენებელთა განკარგულებაშია მაღალმწარმოებლური სამამულო მექანიზმები და მანქანა-იარაღები. ქანების ბურღვა-მონგრევა, აღება და გამოტანა, სამშენებლო მასალის ტრანსპორტირება, კონსტრუქციების მონტაჟი, ბეტონის ხსნარის დამზადება და მისი მიწოდება, გვირაბის დაჭირხვნა თუ სხვა შრომითი პროცესები მექანიზებულია. სამუშაოთა კომპლექსი საგზაო-სამშენებლო, ავტოსატრანსპორტო და სამთო-გაყვანითი ტექნიკური მიღწევების გამოყენებით ხორციელდება.

* * *

„წერეთლის გამზირი“ მეტროპოლიტენის მეორე რიგის პირველი სადგურია.

გვირაბის გაყვანისას ჯერ წამოებს ბურღვა-აფეთქება, მონგრეულ ქანებს იღებენ, შემდეგ ხდება სამაგრების ჩაწყობა ერექტორის მეშვეობით, ამას მოყვება დაკვერვა, ქანებსა და სამაგრებს შორის დარჩენილი არის ბეტონის ხსნარით ამოვსება (ე. წ. დაჭირხვნა, სწორედ ეს აძლევს სიმტკიცეს გვირაბს და აკავებს აგრესიულ წყლებს). მერე გზის დამგებნი, ელექტრიკოსები და ზეინკალ-მემონტაჟეები დაეპატრონებიან გვირაბს და ასე თანდათან იღებს სრულყოფილ სახეს მიწისქვეშა ტრასა.

„წერეთლის გამზირის“ მშენებლებმა უნდაააგონ სადგურის ზედა და ქვედა ვესტიბიული, გადასაჭდომი საკნები, დამხმარე მიწისქვეშა ნაგებობანი. აქვე შენდება სადგურის საესკალატორო გვირაბი.

„წერეთლის გამზირიდან“ საბურთალოს მიმართულებით მარცხენა გადასარბენი გვირაბი მექანიზებული „ფარ 105 თბილისურით“ გაჰყავთ. ეს მძლავრი სამამულო მექანიზმი საგანგებოდ თბილისელი მეტრომშენებლებისთვის მოსკოვის მექანიკურ ქარხანაში დაამზადეს. მას ჩვენი დედაქალაქის მეტროპოლიტენის სამუშაოებზე 1964 წლიდან იყენებენ.

თუ ჩვეულებრივი ერექტორის მეშვეობით ყოველთვიურად 40-45 მეტრი გვირაბი გაჰყავდათ, ამ მექანიზმის სარეკორდო მაჩვენებელმა პირველი რიგის მშენებლობაზე თვეში 105 მეტრამდე მიაღწია.

წელს „ფარ 105 თბილისურით“ 400 მეტრი მზა გვირაბი უნდა გაიყვანონ. ძნელია იმის თქმა, შეინარჩუნებენ თუ არა გვირაბის ფარით გაყვანის ადრინდელ ტემპს. აღნიშნულ მონაკვეთში ძალზე მყარი ქანებია და ეს გარემოება ართულებს საქმეს, მაგრამ მშენებლები ვარაუდობენ, რომ ფარი იმედს კვლავ გაამართლებს.

* * *

მეტრომშენებელთა ცხოვრებაში ორი მომენტია ყველაზე მღელვარე და სასიხარულო — გვირაბების შეერთება და ახალი სადგურის თაღში პირველი ექსპრესის გამოჩენა.

მეორე რიგის მშენებლობაზე გვირაბების შეერთების სიხარული უკვე განიცადეს მეტრომშენებლებმა. შარშან იმ შახტის კოლექტივმა, რომელსაც ინჟინერი რ. ჭელიძე ხელმძღვანელობს, ვადაზე ბევრად ადრე დაამთავრა 1.200-მდე მეტრი საერთო სიგრძის გადასარბენი გვირაბების გაყვანა მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან სადგურ „პოლიტექნიკურ ინსტიტუტამდე“.

საკმაოდ რთულ პირობებში შენდება სადგურ „პოლიტექნიკური ინსტიტუტის“ დახრილი გვირაბი, რომელიც ახალ მაგისტრალზე ერთ-ერთი ლამაზი სადგური იქნება.

წინააღმდეგობა და სიძნელე ყოველთვის იყო მიწისქვეშა მაგისტრალის მშენებლობაზე. ძნელი დასამუშავებელია თბილისის წიაღი. გამონაკლისი არც საბურთალოს ტრასაა. გვირაბები გაჰყავთ ქვაკლდოვან ქანებში, დიდია მიწისქვეშა აგრესიული წყლების მოქმედება, განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველას გამზირზე. აქ სპეციალური დანადგარებით წარმოებს წყლის დონის წინასწარი დაწევა. ასეთივე მდგომარეობაა სადგურ „წერეთლის გამზირის“ მშენებლობაზე. სადგურის საესკალატორო გვირაბის გაყვანა ნიადაგის წინასწარი გაყინვის შემდეგ ხდება. ამ საქმეში თბილისელებს მოსკოველი სპეციალისტები ეხმარებიან, მაგრამ წყლის დენა მაინც დიდია.

ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. დაძაბულად უხდებათ მუშაობა რომან ნადარაიას, ამირან ზარქუას, გიორგი კიწმარიშვილის, სოციალისტური შრომის გმირის კუზმა ლუბავსკის, ლორდი გაგუას, იორამ გიგოლაევის, თედორე კაჩმაზოვის, გურამ ლეკვეიშვილის, გიორგი რეხვიაშვილის თუ სხვათა ლენინური და კომუნისტური შრომის ბრიგადებს. ვისაც ერთხელ მაინც განუცდია გვირაბების შეერთებით გამოწვეული სიხარული, მიხვდება, თუ რატომ მიარღვევენ ასეთი დაუოკებელი ჟინით კუნთმაგარი ჭაბუკები კლდოვან მიწისქვეშეთს, მიზნის მისაღწევად არ უშინდებიან სიძნელეებს.

ახალ ტრასაზე კი გვირაბები 4-5-ჯერ მაინც უნდა შეერთდნენ.

* * *

ხიდური ამწეს მემანქანე ტ. კიკნაძე ბერკეტს დააწვა, გაბმით აგუგუნდა მძლავრი მექანიზმი, დაიძაბა ფოლადის ბაგირი და უზარმაზარი მზა გვირაბი ჰაერში აიზიდა. მერე ნელ-ნელა დაიწყო ღრმულში ჩაშვება.

— მარცხნივ, მარცხნივ უმარჯვე! — საჭირო მიმართულებას აძლევს მემანქანეს უბნის მარქშეიდერი გივი ლურსმანაშვილი.

ჯერ კიდევ არ შეხებია დაბეტონებულ ფსკერს მზა გვირაბი. იგი ზუსტად უნდა მოერგოს სამარქშეიდერო ნიშნულებს. მუზარადიანი გვირაბმშენებლები კონსტრუქციას ეხვევიან, მხრებით აწვებიან. ყველაფერი რიგზეა — გვირაბი ადგილზე „ჩაჯდა".

ახლა მეორე ასეთივე გვირაბი უნდა ჩაუშვან ღრმულში.

სრულსექციური რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით გვირაბების ღია წესით გაყვანა შარშან მარტიდან დაიწყეს. ეს ღონისძიება საბჭოთა კავშირში პირველად თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე განხორციელდა.

— თითოეული მზა გვირაბის სიგრძე 1,5 მეტრია, ხოლო წონა — 16-17 ტონა, გვეუბნება თბილგვირაბმშენის № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის № 26 უბნის უფროსი მიხეილ ქუონია, — ასეთი დიდი ზომის კონსტრუქციების სხვა რესპუბლიკიდან შემოზიდვა მთელ რიგ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული და ძვირი დაჯდებოდა, ამიტომ გადაწყდა მათი ადგილზე დამზადება.

ამ მიზნით ჩატარდა თბილგვირაბმშენის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის პოლიგონის რეკონსტრუქცია, მოეწყო საჭირო დანადგარები, დამონტაჟდა 30 ტონის სიმძლავრის ხიდური ამწე. ამ საქმეში თავიანთი სიტყვა № 26 უბნის მშრომელებმა თქვეს. განსაკუთრებით იმარჯვეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ალექსანდრე დათაშვილის ზეინკალ-მემონტაჟეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებმა. ამჟამად ქარხანა შეუფერხებლად აწვდის სრულსექციურ კონსტრუქციებს ოცდამეექვსე უბანს.

— ამ უბანს ექსპერიმენტული ეწოდება, — ამბობს თბილგვირაბმშენის № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მთავარი ინჟინერი გივი ბარაბაძე, — აქ ღია წესით, ვაჟა-ფშაველას გამზირზე სრულსექციური კონსტრუქციებით 1.300 მეტრი საერთო სიგრძის ორლიანდაგიანი პარალელური გვირაბები უნდა გაიყვანონ. ექსპერიმენტმა, მშენებლობის ღირებულების გაიაფებისა და დროის მოგების თვალსაზრისით, კარგი შედეგი მოგვცა. შარშან 400 გრძივი მეტრი გვირაბი იქნა გაყვანილი, წელს კი 400 მეტრი მზა გვირაბია ჩასაწყობი.

ერთ სამშენებლო პოლიგონად ქცეულა ვაჟა-ფშაველას გამზირი. სასტუმრო „აფხაზეთთან" იწყება მიწისქვეშა სადგურებისა და მაგისტრალების ღია წესით მშენებლობა. მცირე სიღრმეზე იგება სადგური „კომკავშირული", რომლის სრულყოფა № 5 საგვირაბო რაზმის № 25 უბანს (უფროსი ბექარ შალიკაშვილი) აქვს მინდობილი. აქ დასაქმებულ მშრომელთა 70 პროცენტზე მეტი კომკავშირელები და ახალგაზრდები არიან. წელს უნდა დამთავრდეს მაგისტრალის ბეტონითა და რკინა-ბეტონით ფორმირება. მომავალი წლიდან კი სადგურის მოპირკეთებას შეუდგებიან.

წყვეტილი ხაზები ვაკე-საბურთალოს შემაერთებელი მაგისტრალის თავში ჩერდება. აქ მეტროპოლიტენის მეორე რიგის ბოლო სადგური „დელისი" იქნება. მიწისქვეშა სადგური მცირე სიღრმეზე აიგება. შენდება აგრეთვე ჩიხი მატარებლებისთვის, სხვადასხვა დანიშნულების გვირაბები.

შესვენების საათია. „დელისის" გვირაბმშენებლებს წითელ კუთხეში მოუყრიათ თავი. ჟურნალ-გაზეთებს ათვალიერებენ, ჭადრაკსა და შაშს თამაშობენ.

— ხედავთ, — თავი ასწია ცვლის უფროსმა ემზარ ჭელიძემ, — აქა სწერია: ჩვენი უბნის მახლობლად სახლის საძირკვლის გათხრისას ისტორიული ნივთები აღმოუჩენიათ.

— ამდენი ხნის განმავლობაში მიწის სამუშაოების შესრულებისას არსად წასწყდომიხართ არქეოლოგებისთვის საინტერესო მასალას? — ვეკითხები უბნის უფროსს გივი ყიფიანს.

— ისტორიული მნიშვნელობის მასალას არ წავწყდომივართ, მაგრამ ისტორია კი შევქმენით! — ღიმილით ამბობს ბრიგადირი პეტრე გოქაძე.

— ისტორიას თავი დაანებე, ერთი წიგნიც არ დაწერილა ჩვენს შესახებ, — ამბობს გივი ყიფიანი.

— ჟურნალ-გაზეთებში ხომ ხშირად იწერება ჩვენზე!

— მარტო ეგ არ კმარა. მემორიალური დაფა მაინც გააკრან მიწისქვეშა სადგურში და იმათი გვარები აღნიშნონ, ვინც ოფლს ღვრის მეტროს მშენებლობაზე.

ახლახან გვირაბმშენებელთა ბრიგადირს პეტრე გოქაძეს საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის წოდება მიანიჭეს.

რამდენი ლენინის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი მუშაობს თბილგვირაბმშენის კოლექტივში! მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

უნარიან თავკაცზე, კარგ ორგანიზატორსა და ნიჭიერ ხელმძღვანელზე დიდად არის დამოკიდებული წინსვლა. ლენინის ორდენოსანმა თბილგვირაბმშენის სამმართველოს უფროსმა ვიქტორ გოცირიძემ, თავის ძმასთან ილია გოცირიძესთან ერთად, დიდი ამაგი დასდო თბილისში მეტროპოლიტენის მშენებლობას. იგი ახლაც ჩვეული ენერგიით უძღვება საქმეს.

მეტრომშენებლები თვითონვე წერენ თავიანთ ისტორიას, ქმნიან გმირული შრომის, ვაჟკაცური შემართების, თავდადებული საქმიანობის ამსახველ ფურცლებს.

**ჰენრი კობიძე**

ფოტო თარხან არჩვაძისა



მეექსკავატორე ვასილ პოპოვი.



მიხეილ მექვევრიშვილი.

# მადლი ვაზისა

დღე და ღამე ცას გასცქერიან. თავს არ შევირცხვენთ.. ხალხის ნაამაგარს ფხიზლად დავიცავთ!..

ამირან ქარცივაძის ხმაში მტკიცე გადაწყვეტილება იგრძნობა.

თათბირზე შევიტყვეთ, რომ გასული წლების ყინვებმა გურჯაანელებს თურმე სამი ათასი ჰექტარი ზვრები გამოსტაცა ხელიდან. რა ჩარა იყო, ორი ათას ჰექტარზე ვაზი ძირზე გადაჭრეს, ათასი ჰექტარი გატიალებული ვენახი კი მთლიანად ამოძირკვეს. არც სხვა ვენახებს დაადგა სიკეთე. ზვრები დაკნინდა, გამეჩხერდა. აი, ამიტომაც იყო, რომ გურჯაანელებმა შარშან მხოლოდ 25 ათასი ტონა ყურძენი დაამზადეს, ეს კი თითქმის ორ-ნახევარჯერ ნაკლებია წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით.

* * *

ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის ზაფხულია.

გურჯაანელები, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ყველაზე მეტ ყურძენს აწარმოებენ, ვენახებში გაკრეფილან.

უხვი მოსავლისათვის ბრძოლა მათ ჯერ კიდევ ადრეული გაზაფხულიდან დაიწყეს. მთავარი ამოცანა ყინვისაგან განადგურებული ვენახების აღდგენა და მეჩხერიანობის ლიკვიდაცია იყო. მთლიანი ფრონტით შეუტიეს გურჯაანელებმა საქმეს. მარტო შარშან მათ ერთი მილიონ ორას ათასამდე ვაზი შემატეს თავიანთ

ერთი ბერიკაცი ამას წინათ მთელი საათი მეკამათა: ადამიანი პირველად კახეთში გაჩნდაო. იმიტომაო, რომა დოვლათი აქ ბევრია, პური და ღვინო კარგი მოდისო, წყალი და ჰაერიც საუკეთესოაო.

როცა ურწმუნობა შემატყო, მოიღუშა და კუშტად ჩაილაპარაკა:

— ერთი მეზობელი მყავს, ისიც ურწმუნო თომა იყო, არ მიჯერებდა, მაგრამ როცა შარშან ალაზნის მიდამოებში ძველთაძველი სამარხი გათხარეს, რა ჩარა ჰქონდა, პირში წყალი ჩაიგუბა და გაჩუმდა, აბა!

ბერიკაცმა ფერდობზე ჩაყრილ რქანაყარ ზვრებს გახედა და ფიქრიანად დასძინა:

— ასეა, შვილო, ასე. საქართველოს ძირითადი სიმდიდრის წყარო ეს ვაზია... ვაზი და ჩაი!

— ჩვენი მეჩაიეები მევენახეებს რომ სოცშეჯიბრში იწვევენ, თუ იცი, პაპავ?

ბერიკაცმა იწყინა.

— შენ რა, აჯამი ხომ არა გგონივარ? შინ გაზეთიც მომდის, ტელევიზორიცა მაქვს, რადიოცა. რაც ამ ქვეყანაზე ამბები ხდება, წვრილ-წვრილად ვიცი ყველაფერი.

— გვაჯობებენ? — აღარ მოვეშვი ბერიკაცს.

პაპა ჩაფიქრდა.

— წინდაწინ რა მეთქმის... წლიდან წლამდე რა მოელის ჭირნახულს უფალმა უწყის... აგე, ორი წელია ზედიზედ ყინვამ წაგვიხდინა ვენახები. შარშან, როგორც იყო, ვაზი ვაზს დავამგვანეთ, ვიფიქრეთ, იქნებ როგორმე ხელი მოვინაცვლოთო, მაგრამ, გაგეგონება, მოულოდნელად ისეთმა სეტყვამ წამოგვიშინა, კინაღამ სახლკარიანად წაგვიღო.

ბერიკაცმა ცას ახედა და მაშინვე დასძინა:

— არა, ისე არ გამიგო, თითქოს მარტო ღვთისა და ბუნების ანაბარა ვართ. არა, ცდასა და მეცადინეობას არ ვაკლებთ ვენახებს. კაცის ხელს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია... აბა, დაჰყევი ეგრე, ჩაიარე ჩვენი ვენახები. ნახე რა დღეში არიან ბიჭები... დილაბნელიდან დაბინდებამდე ვენახებში ტრიალებენ და სულს უდგამენ ვაზს.

ის-ის იყო დავემშვიდობე ბერიკაცს, რომ პაპამ ჭიშკართან მომაძახა:

— ვიცი, ჩვენი მეჩაიეებიც ასეთ ჯაფაში არიან. ჰოდა, ნახე, ამ შეჯიბრებაში ორთავენი გამარჯვებულები გამოვალთ!

* * *

პარტიის გურჯაანის რაიონული კომიტეტის მესამე მდივანმა მოსე სამადაშვილმა როცა ჩემი მისვლის მიზეზი გაიგო, სოფლის მეურნეობის სამმართველოში დარეკა: რედაქციიდან სტუმარი გვეწვია, რაიონის მევენახეთა საქმიანობა აინტერესებს, დაეხმარეთ, ყველაფერი დაათვალიერებინეთ...

სამმართველოს უფროსის მოადგილის თენგიზ დარაშვილის კაბინეტში რამდენიმე კაცს მოეყარა თავი.

თათბირობდნენ. თავი და თავი საზრუნავი ახლა სეტყვასთან ბრძოლის საკითხი იყო.

— გრუნტი ქართული არ არის, ნიადაგი დაწერე, მყარი ნიადაგი-თქო... მანქანებს არ უნდა გაუჭირდეთ ლოკატორებთან მისვლა... — თქვა ერთმა.

— ისიც ჩავწეროთ, რომ უახლოეს ხანში საჭიროა ისევ ამოქმედდეს სასადილო, — დაამატა მეორემ, — მის თვითნებურად დახურვის უფლებას არავის მივცემთ... მუშებს ადგილზე ცხელი კერძი სჭირდებათ.

ყველა თანხმობის ნიშნად იქნევს თავს.

— სალოკაციო სადგურიდან მტკიცე კავშირი უნდა დამყარდეს ცალკეულ პუნქტებთან. ამ პუნქტების მუშაობა კი კოლმეურნეობათა გამგეობებმა შეამოწმონ-თქო... — ამბობს მესამე.

საუბარს თენგიზ დარაშვილი აგრძელებს.

—საკითხები, რომლებსაც ჩვენ ვაყენებთ, ბიურომ უნდა განიხილონ. ამიტომ, ამხანაგებო, ყოველი პუნქტი საქმიანი, ნათელი და პრაქტიკული უნდა იყოს.

— ესენი სეტყვასთან ბრძოლის სამსახურის მუშაკები არიან, — მიხსნის თენგიზ დარაშვილი.

— ძნელია ჩვენი სამუშაო, ძალიან ძნელი... — გვეუბნება სეტყვასთან ბრძოლის სამსახურის უფროსი ამირან ქარცივაძე, —ღმერთებს ვეომებით და ხუმრობა ხომ არ არის?! ეგეც არ იყოს, სროლაში ზოგჯერ დაბრკოლება ხდება... ზოგჯერ ჭურვიც ტყუის... ზოგჯერ...

— ზოგჯერ თქვენი მუშაკებიც სცოდავდნენ! — სიტყვას ურთავს სავარძელზე ჩამომჯდარი კაცი.

—ეგ წინათ იყო. ეხლა დაალმასებული ბიჭები მყავს.

სეტყვასთან მებრძოლები.





ველისციხის ზვრებში შაბათობაზე ხში-რად შეხვდებით სოფლის მუშა-ხელმძღვა-ნელებს



კოლმეურნეობის თავმჯდომარე დიმიტრი მამისაშვილი (მარცხნივ) ესაუბრება მე-ვენახეებს.

ფოტო თარხან არჩვაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვრებს. გამორგვითა და გადაწვენით. ვაზის ეს რაოდენობა სამას ჰექტარ ახალ ვენახს უდრის. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ რაიონში უკანასკნელ ხანებში ხუთასი ჰექტარი ახალშენი ზვრებიც გაშენეს, მაშინ გასაკვირი აღარ იქნება, რომ წელს 60 ათასი ტონა ყურძნის დამზადებას გვპირდებიან გურჯაანელები.

მეჩაიეთა მიერ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევამ ახალი შრომითი ენერგიით აღავსო რაიონის მევენახეები. ზვრებში სამუშაოს რა გამოლევს. ყველგან, სადაც კი ჩავედით, განსაკუთრებული მონდომება, უჩვეულო პათოსი და უხვი მოსავლისათვის თავდადებული შრომა იყო გაჩაღებული.

* * *

ველისციხე ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მდიდარი სოფელია გურჯაანის რაიონში. აქაურ მევენახეებს ყურძნის სარეკორდო მოსავლის მოყვანით ხშირად უსახელებიათ თავი.

კოლმეურნეობის კანტორა დაცარიელებული დაგვხვდა.
— პავილიონთან კრებაა, ყველანი იქ არიან, — გვითხრა კანტორაში მარტოდ დარჩენილმა მოანგარიშემ.

პავილიონი შუაგულ ზვრებშია აღმართული.

კრებაზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი.

მიხეილ მეჭეეროშვილი ლაპარაკობდა — ველისციხელთა ყველაზე სახელოვანი ბრიგადირი.

მიხეილს სამოც წელს გადააბიჯა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, აბა თუ ბიჭი ხარ, მიდი და გაეჯიბრე. ოთხი კლასის ცოდნა აქვს მიხეილს, კოლმეურნეობის დაარსებიდან მევენახედ მუშაობს და, ვინ მოთვლის, ფრიადზე შრომით რამდენჯერ უსახელებია მთელი რაიონი.

ჯერ იყო, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭეს მიხეილ მეჭეეროშვილს, მადლობებითა და ჯილდოებით აავსეს, წელს კი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ გამრჯე, ქართველი გლეხკაცის გმირული შრომის ნათელსაყოფად ისიც კმარა, რომ წელს ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო მევენახეებისათვის მიხეილ მეჭეეროშვილის სახელობის პრიზი დააწესეს.

კრება დიდხანს გაგრძელდა. თავი და თავი საკითხი ისევ შრომის სწორი ორგანიზაცია და ყურძნის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა იყო.

მიხეილს გამოვესაუბრე. მისი ახალი შრომითი წარმატებები მაინტერესებდა.

— მარტო მე რათა? სხვაც ბევრია ჩვენთან მოწინავე მევენახე, — მითხრა მიხეილმა, — აი, თუ გინდა, ლენინის ორდენოსანი ამირან შოშიაშვილი ვთქვათ. თუ გინდა, არსენ ტატიაშვილი დავასახელოთ. ლამარა ჯაჭვაძე რომ ვახსენო, ნუშო ბახლიშვილიც უნდა გაგაცნო; ფაცი გურგენიძემ რაღა დააშავა, ანდა რუსუდან კერესელიძემ?! სხვაც ბევრია: უშანგი დათუაშვილი, არჩილა გელოვანი, ვართანა ნესუაშვილი, მარგო ზუკატოვა, ვალიკო ინასარიძე, კოტე ქიტუაშვილი, ჯემალ ჯანჯღუხუაშვილი, ქეთა და ეთმა გურგენიშვილები... აბა, რომელი ერთი მოვთვალო...

— შენი და? — კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ბესარიონ გვარამაძე წამოეშველა მიხეილს, — შენი და ანა აბელაშვილი რატომღა გავიწყდება?

* * *

მოწინავეები მრთლაც ბევრი ჰყავთ ველისციხეში. სამოცი კაცი ორდენებისა და მედლების კავალერია, რვა — სოციალისტური შრომის გმირი. ასზე მეტი კომუნისტი სასახელოდ შრომობს სასოფლო-სამეურნეო არტელში.

აი, პირველ რიგში, სწორედ ამ გამრჯე და შრომისმოყვარე ადამიანების წყალობით იყო, რომ, დიდი ყინვების მიუხედავად, ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში ბევრმა ბრიგადამ წარმატებით გაანაღდა საწარმოო გეგმები.

წელს მეტი მართებთ ველისციხელებს. გეგმებიც უნდა შეასრულონ და ვალდებულებებიც. სხვანაირად როგორ შეიძლება?! მეჩაიეთა თავდადებულ შრომას მევენახეებმა ახალი წარმატებებით უნდა უპასუხონ.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის გამოქვეყნებისთანავე ველისციხელმა მევენახეებმა კონკრეტული ღონისძიებები შეიმუშავეს, ყველაფერი გულდასმით აწონ-დაწონეს და გაორკეცებული ენერგიით შეუტიეს საქმეს.

შარშან აქაურმა მევენახეებმა 127 ათასი ძირი ვაზით შეავსეს თავიანთი ზვრები. წელს 130 ათასი ახალი ვაზი შეემატება გამეჩხერებულ ვენახებს. ამ რაოდენობის ვაზი რომ ცალკე ფართობზე გაეშენებინათ, 65 ჰექტარი დასჭირდებოდათ. აქედან ნათელია, თუ რაოდენ ზედმეტ დროსა და ენერგიას ხარჯავდნენ მევენახეები გამეჩხერებულ ზვრებში, რაოდენ დიდი რაოდენობით იკარგებოდა მოსავალი.

ახლა ყველაფერი ზუსტად არის გაანგარიშებული. თითოეულ ძირ ვაზს სათუთად უვლიან და ელოლიავებიან. აი, ამ რჭანაყარმა, მადლიანმა მცენარემ უნდა დააფასოს გლეხკაცის თავდადებული შრომა, მისი სახელი და გამარჯვება უნდა გამოაჩინოს საქვეყნოდ.

გურჯაანელები, შეიძლება კი არა, ათასობით გურჯაანელი დებს ხუთწლედის შრომით ფრონტზე და თავდადებით იღვწვის წრევანდელი უხვი მოსავლის მოსაყვანად.

**გიორგი პაპუაშვილი**



## ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების 125 წლისთავისათვის

ქვემოთ ვაქვეყნებთ წერილს „ასოთამწყობის მოგონება" რომელიც დაბეჭდილია „კვალში" (1894 წელი, № 7), წერილის ავტორია ქართული სასტამბო მეურნეობის დიდი პატრიოტი, სტამბის ცნობილი მფლობელი და ასოთამწყობი ლუარსაბ ხელაძე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1940 წლამდე „სახელგამის" საწარმოო განყოფილებაში მუშაობდა.

მოგონებაში ლუარსაბ ხელაძე მოგვითხრობს, თუ რა ახლო ურთიერთობა ჰქონდა ასოთამწყობებთან დიდ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ალექსანდრე ყაზბეგს.

# ალექსანდრე ყაზბეგი ასოთამწყობებთან

— გამარჯობა თქვენი, მუშაკნო, გამარჯობა, როგორა ხართ; აჰ, ჰკენკავთ ქათმებივით!.. (წყობას ასე ეძახდა) — შემოვიდა სტამბაში ერთხელ სანდრო და მხიარულად შემოგვძახა. ყველას ღიმილი მოგვეფინა სახეზე და მხიარულად განვაგრძეთ წყობა.

— აბა პლატონ (ასოთამწყობია), ჩემი „ელგუჯა", როგორ არის, იწყობა თუ არა?

— როგორ არა, ბატონო! ცოტას თუ მოითმენთ, კორექტურას მოგართმევთ წასაკითხად.

— ძალიან კარგი, ჩემო პლატონ, ძალიან კარგი; ცოტას კი არა, გინდ ორ საათს დავიცდი და გავასწორებ კიდეც.

მაშინ „ელგუჯა" წიგნად პირველად იწყობოდა ხელაძის სტამბაში და განსვენებული სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. ადრე კი ცალკე წიგნად გამოსცა „ელისო", „ციკო", „არსენა" და სხვა.

სანდრო დიდი გულისყურით ეკიდებოდა თავის ნაწარმოებებს. თავზე ადგა ასოთამწყობს და თითოეულ ასოს ჩაჰკირკიტებდა. ხან ერთთან მივიდოდა, ხან მეორესთან, მხარზე ხელს დაჰკრავდა და ჰკითხავდა:

— შენ რაღას აწყობ, პატარავ?

— მეც „ელგუჯას" ვაწყობ, ბატონო!

— მართლა? გესმის, რასაც აწყობ?

— როგორ არა, ბატონო!

— მერე, მოგწონს თუ არა?

— მომწონს კი არა, ბატონო, კითხვას რომ ვიწყებ, აღარ მინდა მოვშორდე...

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო პატარავ! — ღიმილით ეტყოდა, თავზე ხელს გადაუსვამდა.

— პლატონ, კარგი ხელობაა, ეგ თქვენი ხელობა!

—ეჰ, ასე გეგონოთ,—ამოიოხრა უფროსმა ასოთამწყობმა, — სათქმელად კარგია, ვიდრე ჩაუკვირდებით საქმეს; კარგი მაშინ იქნებოდა, პირობები რომ გვქონდეს სტამბებში. თექვსმეტი საათი განუწყვეტლივ ფეხზე დგომა და დედანში ცქერა რა ხეირს დააყრის მუშას? თუ მუშას რიგიანი ჯამაგირი ეძლევა და შრომა უფასდება, მაშინ ის თავს არ ზოგავს!

— ეგ არ არის სასიამოვნო ამბავი, — წარმოსთქვა ალექსანდრე ყაზბეგმა, — თქვენი ხელობა ყველა ხელობაზე მაღლა უნდა იდგეს, რადგან გვერდში უდგეხართ მწერლობას, რომელიც სიმართლის წყაროს წარმოადგენს! სამწუხაროა, რომ ჩვენში ვერ არის სტამბის საქმე კარგად დაყენებული.




სანდროს ვთხოვეთ ეამბნა ჩვენთვის რაიმე ევროპის სტამბების მუშებზე.

— ევროპაში, — წამოიწყო ალექსანდრემ, — სასურველ ნიადაგზეა სტამბების საქმე დაყენებული. სტამბები ჰაერისათვის მეორე სართულზეა მოთავსებული, სუფთა ოთახებში, ოთახები სავსეა ყვავილებით.

— ახლა აქაური სტამბებიც ნახეთ რა დღეშია, სადღაც სარდაფშია მოთავსებული, გავსებულია ნაგვით. საწყობი, ნაგავი და ჯანდაბა ერთმანეთშია არეული! — წამოიძახა სახეაწითლებულმა პატარა ასოთამწყობმა.

ალექსანდრემ აღელვებულ ყმაწვილს თავზე ხელი გადაუსვა, ანუგეშა.

— გულს ნუ გაიტეხ, ჩემო პატარავ, რა ვუყოთ, ჯერ ასეა, მალე გაუმჯობესდება, ყოველთვის ხომ ასე არ იქნება?!

— რამდენი ქართველი ასოთამწყობია თბილისში? — შემეკითხა სანდრო.

— ქართველები ძალიან ცოტაა, ასე ოცამდე.

— რატომ ხართ ეგრე ცოტანი?

— იმიტომ, რომ შრომა არ ფასობს. პირობები ცუდია!

— აი, ყმაწვილებო, თქვენ რომ ერთობა გქონდეთ, კარგად მოაწყობთ თქვენს საქმეს. ოცამდე ქართველი ყოფილხართ, შეადგინეთ ამხანაგობა და ყოველ თვე გადასდეთ რამდენიმე მანეთი, ასე ერთი წლის შემდეგ პატარა თანხა გაგიჩნდებათ; მეც მოვიცლი საქმეებიდან თუ არა, წესდებას შეგიდგენთ, როგორ უნდა იმოქმედოთ. თქვენ დიდი საჭირონი ხართ ჩვენთვის. თქვენ რომ კარგ ნიადაგზე იყოთ დამდგარი, დიდ სარგებლობას მოუტანთ საზოგადოებას! — გვირჩია სანდრომ.

ჩვენ ყველანი დიდად გაგვახარა სანდროს კეთილმა რჩევამ და დიდი მადლობა გადავუხადეთ მას.

განსვენებული ალექსანდრე ყაზბეგი, მართლაც, რომ შესანიშნავი ადამიანი იყო. მაშინ მას სტამბაში თან დაჰყავდა ერთი ახალგაზრდა სომეხი, რომელსაც ქართულ ენას და მართლწერას ასწავლიდა: სწავლობდა აგრეთვე ასოთაწყობას, და აი მისი წყალობით ეს ახალგაზრდა იმდენად დახელოვნდა ქართულ ენაში, რომ დღეს ქართული გაზეთის რედაქციაში პირველ თანამშრომლად მოაქვს თავის თავი, მეთაურ წერილებსაც კი გვიცხობს ხოლმე. აი, რას ჰქვია დაუღალავი შრომა მწერლისა, წერითაც და საქმითაც.

ლუარსაბ ხელაძე.



მოთხრობა

# ყველაწმინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ბეჟანიშვილი

ამ სასადილოს არც კარგი შენობა ჰქონდა, არც რიგიანი მისასვლელი გზა, მაგრამ მუშტარი მაინც ბლომად ჰყავდა — მივლინებით ჩამოსული ან შემთხვევით გზად გავლილი კი არა, სასადილოს ბატონ-პატრონი „გასტროლიორებს“ რომ ეძახდა, არამედ მუდმივი, დარბაისელი, კვირაში სამჯერ მაინც რომ მოდიოდა პურის საჭმელად. ასეთ მუშტარს პლატონიჩი კარებშივე შეეგებებოდა, ფარდებით გადატიხრულ „კაბინეტისკენ“ გაუძღვებოდა, მაგიდას ტილოს გადაუსვამდა, სკამებს სულს შეუბერავდა და როცა სტუმრები დასხდებოდნენ, დააკლავი მოზვერივით წააგდებდა თავს — თქვენი ხმალი და ჩემი კისერიო.

სტუმრებიც შეკვეთას არ უგვიანებდნენ.

— ოთხი სუკის მწვადი, ოთხი „ტიბაანი“ ბიძაშვილ-მამიდაშვილებით. ნაბიჭვრები არ შემოგვატყუო!..

— როგორ გეკადრებათ? — ისეთი უცოდველი ღიმილით ჩაიდუდუნებდა პლატონიჩი, თითქოს ეს-ეს არის დედათა მონასტრიდან გამოუყვანიათო.

„ბიძაშვილ-მამიდაშვილები“ პლატონიჩის ენაზე მწვანილი, პური, ყველი, მწნილი იყო, „ნაბიჭვრები“ კი მუშტრის თვალისასახვევად შემზადებული საუზმე, რომელიც ხშირად ერთი სუფრიდან მეორეზე მთელი კვირა მორიგეობდა.

გაცვეთილი, ჭუჭყიანი ფარდებიდან, რომელიც „კაბინეტს“ კედლების მაგივრობას უწევდა, ხელისგულივით ჩანდა მთელი სასადილო.

პლატონიჩი შეკვეთილ პურ-მარილს ამზადებდა, სტუმრები ამას ჭურჭლისა და დანა-ჩანგლის წკრიალ-წკრიალით ხვდებოდნენ.

მოსულები ჩუმად ეწეოდნენ სიგარეტს. საფერფლე ერთ-ერთის წინ იდგა. სხვები სიგარეტის ფერფლს პირდაპირ იატაკზე ჰყრიდნენ, ცდილობდნენ სკამებს მიწებებოდნენ ან ჭუჭყიან ფარდებს აკვროდნენ, რათა „ხაზეინი“ არ შეწუხებულიყო.

— მოახერხებს ზურიკო მაგ საქმეს? — იკითხა კოტიტათითებიანმა.

— პირველი შემთხვევა ხომ არ არის, გივი კალისტრატოვიჩ, — ბოლმიანად ჩაიბურტყუნა წოპლოპინამ,— ჭიპი გვაქვს მაგაში მოჭრილი!

— სახეზე მაინც გვენახა ის მათხოვარი!

— ასე სჯობია. სამუშაო ობიექტებზე ვართ წასული. ხუთ კაცში რომელი გიჟი მოგირიგდება. ერთი ერთზე — გასაგებია?!

— ზურიკომ ეგ გააკეთოს და...

გამოჩნდა პლატონიჩი. ღიპზე ქიმით ჩამოედო ლანგარი. მკვირცხლად შემოვიდა „კაბინეტში“, ლანგარი დადო და ჩანგლებს წაატანა ხელი. ჯერ ტილოთი გაწმინდა, მერე ქაღალდიც გადაუსვა. კოტიტათითებიანმა ჩანგლები მოხვეტა და ჯიბეში ჩაუყარა.

— მაგით შევჭამთ?

პლატონიჩმა გაიღიმა, მერე ღვინის ბოთლები გახსნა. წყლით გალუმპული მწვანილიც წამოასკუპა.

„პატარძლის დაკრეფილი...!“ — ღიღინებდა პლატონიჩი.

— კაცო, გაგეწურა მაინც! — უთხრა სიფრიფანამ.

— გულზე ხელი დაიდე, ნაბიჭვარია?

— როგორ გეკადრებათ?! — იწყინა პლატონიჩმა და წითელი ცხვირი ნიკაპამდე ჩამოუგრძელდა.

სიფრიფანამ ჭიქები ღვინით შეავსო და ამხანაგებს კოტიტათითებიანზე ანიშნა:

— გივი კალისტრატოვიჩს მივულოცოთ თამადობა, ბიჭებო!

— კარგი პური გვაჭამოს!

— კალისტრატოვიჩ, გაგიმარჯოს!



— იცოცხლე!

— აქ მაინც დამასვენეთ, თქვე კაი ხალხო... — ცალყბად იუარა გივიმ, რადგან იცოდა, თამადად მაინც ის უნდა დამდგარიყო. თამადობა ასეთ სუფრებზე თანამდებობას გასტოლებოდა, თანამდებობით კი გივი ყველაზე მეტი იყო...

სასადილოში ვიღაც ფერმკრთალი, დანაღვლიანებული კაცი შემოვიდა, კუთხეში მდგარ მაგიდასთან დაჯდა და „ბორჯომი“ მოითხოვა.

— ხომ არ იცნობ იმ ტიპს? — იკითხა ერთმა.

— „ვარციხეს“ რომ სვამს?

— ფეხებზე დახედე, რა აცვია მაგ უბედურს...

ბევრი იცინეს და იქით აღარ გაუხედავთ.

როცა პლატონიჩმა სუფრიდან მეთექვსმეტე ცარიელი ბოთლი წაიღო, გივიმ კიდევ ოთხი „ტიბაანი“ შეუკვეთა. ისიც გამოწრუპეს. უცნობი ისევ დაფიქრებული იჯდა.

— ბიჭებო, — თქვა გივიმ, — ქართველები არა ხართ? ის კაცი მარტო როდემდე უნდა სვამდეს „ბორჯომს“?

დაფაცურდნენ და ორი წუთის მერე ლამის ხელში აყვანილი მოიყვანეს უცნობი.

— დაგვლოცე, სტუმარო! — ბოყინით უთხრა გივიმ.

პლატონიჩმა მაშინვე მოარბენინა ოთხი ბოთლი „ტიბაანი“.

— აი ჩვენა, თითო ბიჭი — ოთხ ბოთლში ვზივართ, — უთხრა უცნობს გივიმ, — შენც თუ კარგი კაცი ხარ, ოთხ ბოთლში უნდა ჩაჯდე.

— გენაცვალე მარიფათში!

— სიტყვა კი არა — თაფლი გადმოსდის პირიდან.

— შხამი რომ იყოს, იმას დავლევდი! — ხორხოცებდნენ მოქეიფენი და ხან აქედან შეანათებდნენ უცნობს ღვინით დაწითლებულ თვალებს, ხან იქიდან შეაორთქლებდნენ ნივრის სუნსა და ღვინის ოხშივარს.

უცნობმა ჭიქას ხელი წამოავლო.

— შენი სახელი მაჩუქე! — უთხრა გივიმ.

— ელიზბარი!

— დალიე ეგ პირველი ჭიქა. საქართველოს სადღეგრძელოს არ დალევ?

— მადლობელი ვარ.

— მადლობა მერე. ოჯახის სადღეგრძელოს არ დალევ?

— რატომ წუხდებით?!

— არ ვწუხდები. ვაჟკაცობის სადღეგრძელოს არ დალევ?

— არც კი ვიცნობთ ერთმანეთს...

— გავიცნობთ. ძმობის სადღეგრძელოს არ დალევ? მშვიდობის სადღეგრძელოს არ დალევ?..

— ავტობუსს ველოდები და მეშინია არ გამასწროს, — თქვა ელიზბარმა.

— პატიოსანი კაცი ავტობუსში ჩაჯდება? დაგვავალე და ცინცხალი „ვოლგით“ გაგისტუმრებთ!

— ამ დილით „ჟიგული“ შემომთავაზეს, ეხლა — „ვოლგა“. საოცარია მე და ჩემმა ღმერთმა...

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ჰაერი ისე დამძიმდა, თითქოს საცაა ბომბი აფეთქდებოდა. გივიმ სცადა გაღიმება.

— მოდით, ბიჭებო, პატივცემული ელიზბარის სადღეგრძელო დავლიოთ! — თქვა გივიმ, — ამ ბოჩოლასავით კაცს რომელმა მუტრუკმა უნდა აწყენინოს?!.. — და კოტიტა თითები ელიზბარს თავზე გადაუსვა.

ელიზბარი უცნაურად აიწურა მხრებში, ბეჭები ოფლით დაენამა.

ჭიქები შეავსეს და ერთხმად გამოსცალეს.

ელიზბარი სკამზე წრიალებდა. წოპლოპინამ ჭიქა შეუვსო და კუსავით წაგრძელებული თავი ისევ მხრებში ჩაუძვრა.

— რახან სხვა სადღეგრძელოებს არა სვამ, ყველაწმინდისა მაინც დაგვილიე! — უთხრა ელიზბარს თამადამ.

— სამეფო გვირგვინი დაგვადგი თავზე, — წაუსლოკინა ელამმა და გაიღრიჭა.

ამ დროს სასადილოში ვიღაც შემოიჭრა და აქოშინებული გამოემართა სუფრისაკენ. ელიზბარის დანახვაზე გაფითრდა და გივის ყურში რაღაც წასჩურჩულა.

— ეგ იყო? — ჰკითხა გივიმ, — მერე აქამდე სად იყავი?!

გივიმ დაბმული ზაქივით აიწყვიტა და გარეთ გავარდა. მას წოპლოპინა გაყვა, მერე — ღიპიან-ღაბაბიანი, მერე — სიფრიფანა და ბოლოს ელამი. ელამი ცალი თვალით წასულებს მიაცილებდა, ცალით კი ელიზბარს ბურღავდა.

მოსულმა ფული გადაუხადა პლატონიჩს.

— მადლობელი ვარ, ზურიკო... — დაადევნა პლატონიჩმა, მერე ელიზბარს გადმოხედა და ბუზღუნით დაიწყო სუფრის ალაგება.

— მიანგარიშე ჩემი დანახარჯი! — უთხრა ელიზბარმა.

— გადახდილია!

— ჩემი დანახარჯი! — მკაცრად გაიმეორა ელიზბარმა.

პლატონიჩმა საანგარიშო აიჩხაკუნა. ელიზბარმა ზუსტად ჩაუთვალა ფული და გასვლისას უთხრა:

— გადაეცი შენს მეგობრებს, რომ ყველაწმინდისა ვალად მიმაქვს!...

პლატონიჩი გაშეშებული იდგა და ჭუჭყიანი ტილოთი იწმენდდა გაოფლიანებულ თავ-კისერს. მერე გაღებულ კართან მივიდა და ქუჩას გახედა.

ავტობუსი, მართლაც, მოვიდა. ოღონდ მას ჩვეულებრივი ფანჯრების ნაცვლად ოთხკუთხა კოლოფი ედგა, სახურავზე კი უზარმაზარი ანტენა ირხეოდა...

„ტელევიზია... ოქროპირი... — წაიჩურჩულა გაფითრებულმა პლატონიჩმა, — დაიღუპნენ ტუტუცები და მეც დამღუპეს...“

ელიზბარი ავტობუსის მძღოლს მიესალმა, კაბინაში ჩაჯდა და მშვიდად მიიხურა კარები.





მოთხრობებისა და რომანების ასამდე წიგნი, ჟურნალ-გაზეთებში მიმობნეული უამრავი ნარკვევი და კორესპონდენცია — მშრალი სტატისტიკით ასეთია ელიზბარ ზედგინიძის ლიტერატურული პროდუქცია. ამ გაყვითლებულ ხელნაწერებს, ჩანახატებით სავსე უბის წიგნაკებს, დღიურებს, ფოტოსურათებს ორმოცდაათწლიანი შემოქმედებითი ძიების ბეჭედი აზის. ვის არ შეხვდებით ელიზბარ ზედგინიძის პერსონაჟთა მრავალფეროვან გალერეაში: საკოლმეურნეო წყობილების ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორი, კლასობრივი მტრების მიერ ვერაგულად დაღუპული აჭარელი, მემედალი ხაბაზი („ილვიძებენ მთები“), მენშევიკთა ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი გმირები — საშა გეგეშიძე, მიხა ჩხეტიანი, აკაკი ოჩიგავა („მზის ამოსვლამდე“), ძველი თბილისის მოქალაქენი—ფირანი („ვერცხლის ქამარი“), სოლომონ ბეზარაშვილი („ოქროს თუმნიანი“), ლენინგრადის ბლოკადაში მოხვედრილი რომანტიული ქართველი მეცნიერი ვახტანგ დონაძე („ფანჯარა მესამე სართულზე“), რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებელი ალექსანდრე („საქართველოს სიამაყე“), ჩვენი თანამედროვე ქალი თინა ჯაბადარი („გაზაფხული დაიწყო ადრე“)... ადამიანთა შორის ახალი კომუნისტური მსოფლმხედველობის დამკვიდრების რთული პროცესი, საკოლმეურნეო საკუთრებისადმი დამოკიდებულება, პირველი ხუთწლედები და მათი განხორციელებისათვის ბრძოლა, ინდუსტრიის პირველი ნაბიჯები, თანამედროვე ოჯახი — მისი განმტკიცების სოციალური და მორალური გზები — გახლავთ პრობლემათა ერთი ნაწილი ელიზბარ ზედგინიძეს რომ სხვადასხვა დროს აინტერესებდა როგორც მწერალსა და მოქალაქეს.

ელიზბარ ზედგინიძემ თავისი მხატვრული შემოქმედებით თანამედროვის რთული სახის კვლევას არაერთი საინტერესო შტრიხი შესძინა. ქართული საბჭოთა ლიტერატურის მემატიანე გვერდს ვერ აუვლის ამ საინტერესო და მაღალპროდუქტიული მწერლის შემოქმედებას, ელიზბარ ზედგინიძის თანმიმდევრულ ცდებს ჩვენი ეპოქის უტყუარი მხატვრული სურათების შესაქმნელად. ამასთან ერთად ელიზბარ ზედგინიძემ მხატვრული პროზის შთამბეჭდავი პალიტრით გააცოცხლა დიდებული წინაპრების შოთა რუსთაველის („დიდი სიცოცხლის იდუმალება“), ა. პუშკინის („შორეულ ცის ქვეშ“) და ნ. ბარათაშვილის („პოეტის სიკვდილი“) უკვდავი სახეები: ელიზბარ ზედგინიძე ბავშვების საყვარელი მწერალიც არის. მისი საბავშვო მოთხრობები „უცნობი მედროშე“, „ნანას პირველი სიზმარი“, „სიხარული“ და „უცხო ძიები“ კარგა ხანია ჩვენი ბავშვების საყვარელ წიგნებად იქცა.

ელიზბარ ზედგინიძე მთელი თავისი სამწერლო მოღვაწეობის პარალელურად ეწეოდა ჟურნალისტისა და პუბლიცისტის საპატიო ტვირთს. ქართული ჟურნალისტიკის მეისტორიე უსათუოდ აღნიშნავს იმ წვლილს, რაც „ვერცხლის ქამრის“ ავტორმა ჩვენი ჟურნალისტური ჟანრების (ნარკვევი, კორესპონდენცია...) ჩასახვისა და ფორმირებისათვის გააკეთა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სხვადასხვა პერიოდულ ორგანოში მიმობნეული საინტერესო ნარკვევები: „პოეტის გზები“, „მერეთი“, „სტალინგრადის მიწაზე“, „სევასტოპოლის მისადგომებთან““, „საპირველმაისო დროშები“ და სხვ.

ე. ზედგინიძემ პირველი ნაწარმოები 1923 წელს გამოაქვეყნა. 1927 წელს მწერალმა „მნათობში“ დაბეჭდა მოთხრობა „ვერცხლის ქამარი“, ამ მოთხრობით დებიუტანტი პროზაიკოსი მკითხველს წარუდგა, როგორც ორიგინალური ხელწერის მქონე, თვითმყობადი მხატვრული ხილვებისა და ცხოვრებაში ჩახედული მწერალი.

ელიზბარ ზედგინიძის შემოქმედების ხსენებისას თვალწინ წარმოგიდგებათ კეთილი ადამიანებით დასახლებული ლიტერატურული სამყარო. ელიზბარ ზედგინიძე სიკეთისა და სიყვარულის აპოლოგეტია. იქნებ იგი ზოგჯერ შეგნებულადაც კი ხუჭავს თვალს იმაზე, რაც მის მკითხველს ცუდ გუნებაზე დააყენებდა. ეს, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ უარყოფს ჩვენი მკითხველისათვის კარგად ცნობილ აზრს იმის შესახებ, რომ ელიზბარ ზედგინიძე საინტერესო კოლიზიებისა და მკვეთრი რეალისტური განწყობის მწერალია.

რამდენიმე წლის წინათ მწერალმა გამოაქვეყნა სქელტანიანი რომანი „გაზაფხული დაიწყო ადრე“. რომანი ჩვენი თანამედროვეობის ამსახველი ფართო სოციალური ტილოა და, ვფიქრობთ, ჯერჯერობით ელიზბარ ზედგინიძის შემოქმედების მწვერვალიც. სასიამოვნოა, რომ ეს მრავალპლანიანი ნაწარმოები სწორედ სამოც წელს გადაცილებულმა, სათანადო ცხოვრებისეული და ლიტერატურული გამოცდილებით აღჭურვილმა მწერალმა შექმნა. ამ რომანის შესახებ ამასწინათ ჟურნალ „ოქტიაბრში“ კრიტიკოსი გ. პავლოვი წერდა: „ეს დიდაც „მზიური წიგნია“. იგი გასხივოსნებულია ადამიანთა მიმართ გულწრფელი სიყვარულისა და კეთილმოსურნეობის სულისკვეთებით. ეს, რასაკვირველია, როდი ნიშნავს, რომ თითქოს მწერალი ცხოვრებისეულ სირთულეებს განგებ არბილებდეს“.

ღვაწლმოსილი პროზაიკოსი ერთ თავის მოთხრობაში წერს: „კარგი მოსაგონარია ყრმობის დღეები, რატომღაც გახარებს კიდეც და ნაღველსაც გფენს. თითქო მშვენიერი სიზმარი ყოფილიყოს, რომელიც სიბერეშიაც არ ავიწყდება კაცს. ყრმობის წლებში განცდილი ჯავრიც კი გულს გინათებს და სიხარულით იცქირები წარსულში“.

ყრმობის მოგონებითა და წარსულის ხილვებით საზრდოობა ელიზბარ ზედგინიძისათვის ჯერ შორსაა. ჯან-ღონითა და შემოქმედებითი ენერგიით სავსე მწერალი კვლავ ჩვენი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს.

წინ კიდევ ბევრი უძილო ღამე, ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებით მწერლის შრომითი გზაა.

წარმატება და დღეგრძელობა ვუსურვოთ მწერალს.

**რევაზ მიშველაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხატვრო აკადემიის 50 წელი

ჩვენმა საზოგადოებრიობამ ზეიმით აღნიშნა თბილისის სამხატვრო აკადემიის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე.

ორმოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ფრთები შეესხა ქართველი ხალხის სანუკვარ ოცნებას — დაარსდა უმაღლესი სამხატვრო განათლების კერა. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი — უტყუარი საბუთი ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელობისა, რომელსაც ცხოვრების ფართო სარბიელზე გამოჰყავდა ცარიზმის დროს დაჩაგრული ხალხები და გზას უხსნიდა მისი შემოქმედებითი პოტენციალის ყოველმხრივ განვითარებას.

თბილისის სამხატვრო აკადემია ახალი ქართული მხატვრული კულტურის შექმნის ერთ-ერთი პირველი მერცხალია.

სამხატვრო აკადემიამ თავისი მოჭირნახულეების — იაკობ ნიკოლაძის, გიგო გაბაშვილის, გიორგი ჩუბინაშვილის, ევგენი ლანსერეს, მოსე თოიძის, დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, იოსებ შარლემანისა და სხვების თავკაცობით აალორძინა ქართულ ეროვნული მხატვრული კულტურის მდიდარი ტრადიციები და მთელ თავის საქმიანობას საფუძვლად დაუდო საბჭოთა რეალისტური სამხატვრო სკოლის პრინციპები.

სამხატვრო აკადემიის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის ერთი თვალის გადავლებაც კი საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა დიდი და შინაარსიანი გზა განვლო მან. 1922 წლის მაისში, როდესაც აკადემიამ პირველად გაუღო თავისი კარები ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის შვილებს, იგი მცირე სასწავლო დაწესებულება იყო, დღეს კი აკადემია საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი, უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელია, რომელიც ამზადებს ფერმწერებს, მოქანდაკეებს, გრაფიკოსებს, კერამიკოსებს, არქიტექტორებს, ხელოვნებათმცოდნეებს, დეკორატიულ-გამოყენებითი და მხატვრული კონსტრუირების დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს.

ქართველი საბჭოთა სახვითი ხელოვნების ოსტატები ასახავენ ჩვენი საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების, ჩვენი ცხოვრების ძირითად ეტაპებს — შრომითს თუ საბრძოლო გმირობის, საბჭოთა ქვეყნის გრანდიოზული მშენებლობის სურათებს, ისინი ქმნიან ჩვენი ქვეყნის ისტორიის მატიანეს; ხელოვნების მუშაკები პირნათლად იხდიან ვალს ჩვენი ქვეყნის, ხალხის, პარტიის წინაშე.

თბილისის სამხატვრო აკადემიის 50 წლისთავის ამსახველი ფოტოსურათები იხ. ჩანართის შიდა გვერდებზე.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენო პაპიაშვილი — გემი „შოთა რუსთაველი“ ბათუმის ნავსადგურში.

ალექსანდრე სააკოვი — მომავალი მეზღვაური.

არსენ ჩარკვიანი — გასეირნება.

ბენო პაპიაშვილი — თბილისის ზღვაზე.







თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი გიორგი თოთიბაძე.



საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ნოდარ ჯანბერიძე.



საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გიორგი ჯიბლაძე.



საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი თენგიზ ბუაჩიძე.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი დავით ჩხიკვიშვილი.



საქ. სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ გურაბანიძე.

# იუბილარს მიესალმნენ



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხნიდან: ვალერიან თოფურიძე, კოტე მერაბიშვილი, ალექსანდრე კიბალნიკოვი და პავლე ბონდარენკო.



მარცხნიდან: დუდა გაბაშვილი, სევერიან კეცხოველი და შოთა მიქატაძე.

ფოტო იოსებ დავითაშვილისა და ივანე დვალისა.

მიკროფონთან სსრკ სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე.





სამხატვრო აკადემია.

# სამხატვრო აკადემიის 50 წელი

საგამოფენო დარბაზი.



აკადემიის ერთ-ერთი დარბაზი.





სსრკ სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ნიკოლოზ ტომსკი.



მოსკოვის სტროგანოვის სახელობის სამხატვრო ინსტიტუტის რექტორი პავლე ბონდარენკო.



ხარკოვის სამხატვრო ინსტიტუტის რექტორი ევგენი ეგოროვი.



სომხეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე სურენ საფარიანი.



სსრკ მხატვართა კავშირის მდივანი ბორის ეფიმოვი.



ბაქოს ხელოვნების ინსტიტუტის რექტორი რახიმ ჰუსეინოვი.

## იუბილარს მიესალმნენ



ფოტო თამაზ არჩვაძისა.

თიანეთის შემოგარენი. მინდორზე.

ორთაჭალის ხიდი.



# ისეთი ხიდი გასდე...



უხრანის ხიდი.



ვერის ხიდი.



ედა მეეღნის ხიდი



დიდუბის ხიდი.

ისტორიულ-პუბლიცისტური ხასიათის წერილი „ისეთი ხიდი გასდე“... უკვე დასაბეჭდად იყო გამზადებული, როცა რედაქციაში სამწუხარო ამბავი შევიტყვეთ: მოულოდნელად გარდაიცვალა აღნიშნული წერილის ავტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, სსრ კავშირის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საპატიო წევრი გიორგი ბეჟანიშვილი.

გიორგი ბეჟანიშვილმა დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს დედაქალაქს. იგი წლების მანძილზე მუშაობდა თბილისში, ხელმძღვანელობდა სხვადასხვა მნიშვნელოვან მშენებლობებს. მის მიერ შედგენილი საუკეთესო პროექტებით მოხდა მთელი რიგი ობიექტების რეკონსტრუქცია.

გიორგი ბეჟანიშვილს კალამიც უჭრიდა. იგი ოცდაათამდე წიგნის ავტორია. ეს წიგნები თბილისს, მისი მშენებლობის ისტორიის, საქალაქო მეურნეობის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებს შეეხება. ღრმა ცოდნა, ერუდიცია, მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება ავტორს საშუალებას აძლევდა ამომწურავად გაეშუქებინა აღნიშნული საკითხები.

ჟურნალ „დროშის“ რედაქცია, რომლის ხშირი სტუმარი იყო აწ განსვენებული გიორგი ბეჟანიშვილი, მისი ნიჭისა და დამსახურების ყველა პატივისმცემელთან ერთად, მწუხარებით იზიარებს ღვაწლმოსილი მამულიშვილის დაკარგვას.

ძველი საბერძნეთის გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი ჯერ ისევ ორი ათასი წლის წინ ქებით იხსენიებდა საქართველოს მშვენიერ შენობებს და ხიდებს.

„ქართლის ცხოვრებიდან“ ვიცით, რომ დავით აღმაშენებელმა საქართველოს მშფოთვარე მდინარეებზე ხიდები ააგო და გზები ქვით მოკირწყლა.

მტკიცე და გამძლე ხიდების აგებას ჩვენში უძველეს დროიდანვე დიდი ყურადღება ექცეოდა. საქართველოში სად არ წააწყდებით დღემდე მოღწეულ ძველ ხიდებს, ბურჯებს ან მათ ნაშთებს. ალბათ, აქედან არის დასახლებული ადგილების სახელწოდებებიც: „ხიდისთავი“, „ხიდი“, „ხიდისყური“, „ხიდმაღალა“ და ა. შ.

გაიხსენეთ ქართული ანდაზებიც:
„ხიდი წყლის ზომა უნდა იყოსო“.
„ისეთი ხიდი გასდე, რომ შენმა შვილიშვილებმაც ზედ გაიარონო“.

**მეტეხის ხიდი.** თბილისს საფუძველი თბილი გოგირდოვანი წყაროების მიდამოებში ჩაეყარა. ცხადია, პირველი საქალაქო ხიდიც ღელვთახევის გადაკვეთასთან უნდა აგებულიყო. მტკვარს მეტეხის ძირთან ძალიან ვიწრო კლდოვანი კალაპოტი აქვს. იგი სიგანით 40 მეტრს აღწევს, რაც დიდად უწყობდა ხელს ამ ადგილზე ხიდის აგებას.

თუმცა ქვის კამაროვანი ხიდების აგების საქმე ძველად მნიშვნელოვნად იყო განვითარებული, მაგრამ მეტეხის ძირთან მდინარე მტკვარზე აშენებდნენ ხის კოჭური კონსტრუქციის ხიდებს, რომლებიც ქვის ბურჯებზე იყო დაყრდნობილი: უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი კონსტრუქციის ხიდების აგება ნაკარნახევი იყო სტრატეგიული მოსაზრებით. მტრის ურდოებს არ უნდა ჰქონოდათ ერთი ნაპირიდან მეორეზე დაუბრკოლებლად გადასვლის შესაძლებლობა. რადგან ხიდების მშენებლები თავდაცვით მოსაზრებებსაც ითვალისწინებდნენ, ხიდის მალების აღნაგობა იმგვარი უნდა ყოფილიყო, რომ საჭიროების დროს შესაძლებელი გამხდარიყო მისი სწრაფი დაშლა.

თბილისის გეგმაზე, რომელიც მე-18 საუკუნეშია შედგენილი ცნობილი გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის მიერ, აღნიშნულია, რომ ქალაქში არსებობდა: თბილისის ხიდი — ციხესთან, ე. ი. გოგირდოვანი წყაროების მიდამოებში, მეტეხის ხიდი — მდინარე მტკვარზე, წავკისის ხიდი — წავკისის ხევზე და ქალაქგარეთა ხიდი — მდინარე ვერაზე.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც დადგა მდინარე მტკვარზე ახალი ხიდების მშენებლობის საკითხი, ყველაზე უფრო ეკონომიურად ცნეს ლითონისმალებიანი ხიდების აგება.

თბილისში პირველი ლითონის ხიდები (მეტეხის და ავლაბრის) ააგო 1870 წელს. მათი ნაწილები დამზადებული იყო ინგლისში, რადგან ლითონი იქ ყველაზე იაფად ფასობდა. ადგილზე მოხდა მათი აწყობა. ამ ხიდების სიგანე საკმარისი არ იყო მოძრაობისათვის, ამასთან ძალზე მოძველებული იყო და ამიტომ მოითხოვდა ახლით შეცვლას.

ამჟამად არსებული მეტეხის რკინა-ბეტონის ორმალიანი ხიდის მშენებლობა დაიწყო 1950 წლის ოქტომბერში, ხიდი საზეიმოდ გაიხსნა 1951 წლის 29 აპრილს. (იგი აგებულია ინჟინერ გ. ჩომახიძის პროექტით, არქიტექტურული გაფორმების ავტორია ს. დემჩინელი).

ლითონის ძველი ხიდები ამ ადგილზე დაიშალა: ერთი 1951 წელს, მეორე — 1955 წელს.

**კარლ მარქსის** (ყოფილი კუკიის, ვორონცოვის) ხიდი. მე-19 საუკუნის დასაწყისში ქალაქს შემოუერთდა სოფლები: ჩუღურეთი, კუკია და შემდეგ „გერმანელების კოლონია“ — ახლანდელი პლეხანოვის პროსპექტი.

მეტეხის ძირში არსებულ (მეტეხის და ავლაბრის) ხიდებს არ შეეძლო ქალაქის მარჯვენა და მარცხენა ნაწილებს შორის გაზრდილი მიმოსვლის მოთხოვნილების მთლიანად დაკმაყოფილება. საჭირო გახდა ახალი ხიდის აგება, მაგრამ მეფის მოხელეებმა ეს საქმე მეტისმეტად გააჭიანურეს.

ბოლოს, როგორც იყო, პროექტის შედგენა დაავალეს იტალიელ არქიტექტორს ჯ. სკუდიერის.

არქიტექტორმა სკუდიერიმ ქართული მდიდარი სახიდო მშენებლობის საფუძველზე დააპროექტა ორი ხიდი: მარჯვენა ტოტზე ერთმალიანი თაღიანი ქვის ხიდი, სიგრძით 15 საჟენი (82 მეტრი), ხოლო მარცხენა მთავარ ტოტზე სამმალიანი ქვის ხიდი (თითოეულის სიგრძე — 15 საჟენი). მათი საერთო ღირებულება შეადგენდა 145 ათას მანეთს ვერცხლით.

ერთმალიან ხიდს მტკვრის მარჯვენა ტოტზე, რომელსაც ეწოდებოდა „ყაფლანაანთ შტო“, საფუძველი ჩაეყარა საზეიმო ვითარებაში 1848 წლის დეკემბერში. იგი მთლიანად დამთავრდა 1851 წლის აპრილში. სახიდო მშენებლობის საქმეში ამ ქვის

ვორონცოვის ხიდი.



# ლექსები

ცნობილ პოეტსა და დრამატურგს ოთარ მამფორიას 50 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „დროშის“ რედაქცია ულოცავს უახლოეს თანამშრომელს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ახალ გამარჯვებებს პოეზიაში და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.



ოთარ მამფორია

## ხმალი და ვაზი

მტერთა მიერ გათელილი,
სწუხდა მიწის მკერდი.
ჩამოღვენთილ სანთელივით —
იდგა ალავერდი.
თუმცა რისხვა მიაგებეს
შემოსეულ მტარვალს,
მაინც ლაღად ფრიალებდა
შაჰ-აბაზის ჩალმა.
დასწოლოდა შავი ღამე,
ციხე-ბურჯთა ელვას,
ვენახებზე სისხლის ცვარი
მოწვეთავდა ცრემლად.
მზე ღრუბლებში ისე ჩაქრა,
ცივ გომბორის მიღმა,
დაცემული უკვდავ ფარ-ხმალს
ვერ დაადგა ჯიღა.
მტერი გლეჯდა ვით გრიგალი,
ოფლით მორწყულ მთა-ველს.
გზას კაფავდა ბასრი ხმალი —
ირანული მთვარე.
ვაზის მადლი ქართველებმა
შესვეს მდევურ პეშვით,
დააფრქვიეს თითქოს მთებმა
შურისგების ცეცხლი.
და იგემეს ლომთა რისხვა
მომხდურებმა მაშინ,
— ჰკა, მაგასა, — მოისმოდა
სამამულე რქაშიც.
შედგა მტერი ალაზანთან,
დაბლა ხრიდა ალამს,
და უკვირდა: — გურჯთა ლაშქარს
რამ ჩაუდგა ძალა?!
ვაზის მადლით დალოცვილა
ჩვენში გმირთა სისხლი,
ყველა ჯამი გამოცლილა
მხოლოდ მამულისთვის.
ვაზის შუქი სულის მზეა,
ქართველს ძარღვში უჩქეფს,
მისი ფესვი გაუდგია
მთებზე ციხე-ბურჯებს.
გვიან მიხვდა შაჰ-აბაზი,
ზვრებს რომ გადახედა,
და აჩეხა კახეთს ვაზი —
სიმამაცის დედა.
ელვარება ხმალს დააკლდა,
ვაჟკაცს სისხლი ჯანში.
ყურძნის ნაცვლად გულის დარდი
ჩააწურეს ჯამში.
და ღვინის წილ შესვეს მწარე
უმზეობის ბოლმა.
ლუკმასავით მიატანეს
გლეხი კაცის ოხვრა.
მზის და მთვარის უგვირგვინოდ
რაა ყვარლის მთები?
უვაზოდ და უპურღვინოდ
რაა კაცის ბედი?!
ვაზი არის მზე ლხინისა,
ჭირშიც გამძლე ფარი.
ხმალს წააგავს — რქა ჯიხვისა,
თუშურ ქუდს კი — ჯამი.
ვაზის კვირტი ისევ ფეთქავს,
შიგ სხივები ცლერენ.
ქარვისფერი თაფლი წვეთავს
რქაწითელის მტევნებს.
და მოღელავს ზვარი ლურჯად,
ერთვის რთველის ზღვასა,
თუმცა სეტყვა შემოუჩნდა
შაჰ-აბაზის მსგავსად.
თქვენ კი მკერდით აღუდექით
ათქვირებულ ვაზებს
და მაჰარმაც გადმოხეთქა
საწნახელის ღარზე.
ქვევრმა რიხით აამღერა
ამომშრალი ყელი,
აიქოჩრა ცისარტყელა,
თუ ალაზნის ველი.
ზედ ჩრდილია თეთრი მთების
თუ ლაჟვარდი ბოლავს.
აფრენილი ხოხბის ფრთებით
ბრწყინავს შემოდგომა.
და ვაზივით მადლიანი
კახეთს მზე ხარობს,
მარნებიდან მოთქრიალებს
უკვდავების წყარო.

## აჰა, ეს გულიც...

ვერსად ვერ ვპოვე სამოთხე
ამ მთებისა და მზის მეტი.
სიცოცხლე ლექსით გავცოთლე,
მამულო, სულ შენ გისმენდი.

მცირე ვთქვი ხოტბა საშენო,
ხანი კი დიდი გასულა.
აჰა, ეს გულიც, სამშობლოვ,
მაგ სიყვარულის დასტურად.

●

ქუჩა მოჰგავს მდინარეს
და მეც თითქოს ტალღა ვარ.
ისევ ჩამოვიარე,
დინებამ ვერ დამღალა.
ო, ის ერთი სახლია
შორი, შორი ნაპირი.
ეზოში კი ძაღლია,
ჩემზე ყეფით დაღლილი...

## ბადე

მებადური ბადეს გაშლის, ბადეს —
დანავერცხლებს,
ვიდრე წყალში გადაისვრის, მზე
ჰგონიათ თევზებს.
გადისვრის და ორაგული ამოჰყვება
ბადეს,
მზის მაგიერ მშრალ ქვიშაზე თევზიც
დაიდარდებს.
იქნებ წლებიც ამ ჭალარას ბადესავით
ისვრის,
მე კი მაინც მზე მგონია თმებზე
თეთრი ნისლი.
და ვინ იცის, იქნებ უკვე მისი კალთა
მფარავს,
იმ ბადეში გავხვეულვარ ორაგულის
დარად.

ხიდის ძალის აღნაგობა რუსეთის იმპერიაში მაშინ დიდ მიღწევად ითვლებოდა.

მარცხენა მთავარ ტოტზე ხიდის მშენებლობის გაიაფების მიზნით, ქალაქის მმართველებმა გადაწყვიტეს, შეეცვალათ არქიტექტორ სკუდიერის პროექტი. ინჟინერ-კაპიტანმა ბლიკსმა დაამუშავა ხიდის პროექტის ორი ვარიანტი. პირველი ვარიანტით გათვალისწინებული იყო ხის მალების გადება ქვის ბურჯებზე, ხოლო მეორე ვარიანტით — აგურის კამარების გაწყობა ქვის ბურჯებზე.

სპეციალისტებმა უპირატესობა მისცეს აგურის კამარის ვარიანტს, რაც მუდმივ საექსპლოატაციო ხარჯებს არ მოითხოვდა. ამ ხიდის საყრდენების ამოსაყვანად მოიჯარადრეებმა ვადალობეს წყლის დენა და მთელი ნაკადი „ყაფლანაანთ შტოში“ ახალი თაღოვანი ხიდის ქვეშ გაუშვეს.

ხიდის საზეიმო გახსნა მოხდა 1858 წლის ნოემბერში. მის მშენებლობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველ ინჟინერ ქ. ბაგრატიონ-მუხრანელს.

ჩვენ დროში ამ ხიდის სივიწროვის გამო (9,2 მ) საჭირო გახდა მისი რეკონსტრუქცია; ხიდის გაფართოება მოხდა ორთავე მხრიდან ბეტონის კონსტრუქციის მიშენებით.

რეკონსტრუქციის პროექტი დამუშავდა „თბილქალაქპროექტში“, (ავტორი ინჟინერი გ. ქარცივაძე, არქიტექტურულად გააფორმეს შ. ყავლაშვილმა და გ. მელქაძემ).

ქალაქის მეურნეობის შემდგომმა რეკონსტრუქციამ და ტრანსპორტის მოძრაობის ზრდამ გამოიწვია ახალი სატრანსპორტო მაგისტრალების მოწყობა და ახალი ხიდების აგება მდინარე მტკვარზე.

მტკვარზე შესანიშნავ ნაგებობას წარმოადგენს ჩელუსკინელთა სახელობის მონუმენტური ოთხმალიანი ბეტონის ხიდი, რომელიც აშენდა ოთხ წელიწადში — 1932 წლის იანვრიდან 1935 წლის სექტემბრამდე. ამ ხიდის პროექტის ავტორები არიან პროფესორი კ. ზავრიევი და ინჟინერი ნ. სლოვინსკი, არქიტექტურული გაფორმების ავტორია ნ. სევეროვი. ხიდის მშენებლობის უფროსი იყო ინჟინერი ვ. სალუქვაძე.

**ელბაქიძის ხიდი.** ამ ადგილზე არსებობდა ვერის ლითონის ძველი ხიდი, რომელიც აგებული იყო 1884 წლის დეკემბერში. ხიდი სიძველის გამო დაინგრა 1951 წელს, იმავე წლის სექტემბერში იქვე რკინა-ბეტონის ახალი ხიდის მშენებლობა დაიწყო. იგი საექსპლოატაციოდ გადაეცა 1952 წლის დეკემბერში.

ხიდის პროექტის ავტორია ინჟინერი გ. ჩომახიძე, არქიტექტურული გაფორმების ავტორია მ. მელია.

მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ ინჟინერი გ. ჩომახიძე და ინჟინერი ი. ჩხეიძე.

**დიდუბის ხიდის** მშენებლობა დაიწყო 1951 წლის მარტში და საექსპლოატაციოდ გადაეცა 1954 წლის იანვარში.

ხიდის პროექტის ავტორია ინჟინერი კ. დიდიძე, არქიტექტურული გაფორმების ავტორია ა. ქურდიანი.

ბარათაშვილის ხიდის ადგილზე არსებობდა მუხრანის ლითონის ხიდი, რომელიც აგებული იყო 1911 წელს. ამის ადგილას აიგო რკინა-ბეტონის თანამედროვე სამმალიანი ხიდი, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცა 1965 წლის ნოემბერში.

ხიდის პროექტის ავტორია ინჟინერი გ. ქარცივაძე, არქიტექტურული გაფორმების ავტორები — შ. ყავლაშვილი და ვ. ქურთიშვილი.

ხიდის ქვემო იარუსში გახსნილია კაფე „მერანი“.

300 არაგველის ხიდის ადგილზე ლითონის ხიდი აიგო 1882 წელს. დაიშალა 1962 წელს, მოძრაობა კი შეწყდა 1955 წელს. ამ ხიდის მოსაზღვრედ აიგო ორთაჭალჰესი და მასთან დაკავშირებით ოთხმალიანი რკინა-ბეტონის ხიდი, რომლის სიგანე 22 მეტრია. ნაგებობის პროექტის ავტორები არიან ინჟინრები: ა. მენაბდე, გ. ქარცივაძე, გ. წილოსანი; არქიტექტორები: ო. ბაგრატიონი და ტ. მარგველაშვილი.

გიორგი ბეჟანიშვილი

## პორტრეტი

# თენგიზ აბულაძე


ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ აბულაძე ქართველ კინემატოგრაფისტთა საშუალო თაობას მიეკუთვნება. ამ თაობის მოსვლამ ორმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში, ბიძგი მისცა ეროვნულ ხელოვნებაში ახალი ეტაპის განვითარებას. ამ რეჟისორის სახელი ფართო მაყურებლისა და კინოს სპეციალისტებისათვის ჯერ კიდევ 1954 წელს გახდა ცნობილი, როდესაც რეჟისორ რეზო ჩხეიძესთან ერთად მან გადაიღო კინოფილმი „მაგდანას ლურჯა“, ცნობილი ქართველი მწერლის ეკატერინე გაბაშვილის ნაწარმოების მიხედვით. ფილმი გამსჭვალულია ჰუმანიზმით, უბრალო ადამიანებისადმი სიყვარულით. ამ ნაწარმოების მნიშვნელობა გასცილდა ქართული ხელოვნების ფარგლებს. იგი დიდი აღმაფრენით მიიღეს როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე უცხოეთში. ფილმმა ორი მთავარი პრემია მოიპოვა: ერთი მოკლემეტრაჟიანი ფილმების განხრით კანის საერთაშორისო ფესტივალზე (საფრანგეთი), ხოლო მეორე — ედინბურგში (დიდი ბრიტანეთი).

მას აქეთ ოცი წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე თენგიზ აბულაძემ გადაიღო რამდენიმე ფილმი და ყოველი მათგანი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში, არამედ მთელ მრავალეროვან საბჭოთა კინოხელოვნებაში. ეს ფილმები საოცრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც თემატიკის, ასევე ჟანრის მხრივ. ყოველ ახალ ფილმში თენგიზ აბულაძე ახლებურად აღიქვამს სამყაროს. იგი იშვიათად იღებს და თანაც ხანგრძლივად, ამავე დროს, ძალზე გულმოდგინედ არჩევს სცენარს. ზოგჯერ ამას წლებსაც კი ანდომებს. სამაგიეროდ, მისი ყოველი ახალი ფილმი — ეს ცხოვრებისეული მხარეების ახლებური ამოცნობაა, და ჟანრულადაც ახლებური ნაწარმოებია.

„მაგდანას ლურჯას“ შემდეგ თენგიზ აბულაძემ დადგა ფილმი „სხვისი შვილები“. ფილმი ეხება ყველაზე ფაქიზ მორალურ პრობლემას — იგი ეძლვნება ადამიანის პირად ცხოვრებას, მის ყოფას ოჯახში. ეს პრობლემა დიდ ტაქტსა და გემოვნებას მოითხოვდა რეჟისორისაგან. თენგიზ აბულაძემ შესძლო ფილმისათვის მაღალი საზოგადოებრივი ჟღერადობა მიენიჭებია. ფილმის გმირი — ნატო, ძლიერი ნებისყოფიანი ქალი და უჩვეულოდ კეთილი ადამიანი ტრაგიკულ მდგომარეობაში ვარდება. მეუღლე სხვა ქალთან მიდის და უტოვებს მას „სხვის შვილებს“, რომლებიც დედით ობლები არიან. მაგრამ თავისი დიდსულოვნებისა და კაცთმოყვარეობის მეოხებით, ნატომ მოახერხა ამ სიტუაციაზე მაღლა დამდგარიყო და იგი რჩება ბავშვებთან თავისი თავდადებული სიყვარულის კარნახით.

ფილმი „სხვისი შვილები“ გაკეთებულია მეშჩანური დარიგება-შეგონებების გარეშე, მაგრამ იგი სერიოზულად დაგაფიქრებთ ადამიანის ბედზე.

ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებშიც „მე ბებია, ილიკო და ილარიონი“, რომელიც თენგიზ აბულაძის ახალ ფილმს დაედო საფუძვლად, ადამიანის სულიერ სიმდიდრეზეა მოთხრობილი, მაგრამ მოქმედების მასშტაბი აქ უფრო გაფართოებულია. ამ ფილმში თენგიზ აბულაძე სცილდება ვიწრო ოჯახურ ფარგლებს. „სხვისი შვილები“, ადამიანის სულიერ ღირსებათა უფრო განზოგადებულ სოლიდარულ წარმოსახვას აღწევს. მთელი ფილმი, ისევე, როგორც ნოდარ დუმბაძის მოთხრობა, აგებულია მთავარი მოქმედი გმირის — ზურიკოს თხრობაზე. სიცილი ფილმში ჰარმონიულად ერწყმის ტრაგიკულს, წვრილმანი, ყოფითი ამბები მნიშვნელოვანს და სერიოზულს — ადამიანთა ცხოვრებაშიც ხომ ბუნებრივია ასეთი მონაცვლეობა.

თენგიზ აბულაძის ფილმის ეს თავისებურება აღნიშნა გამოჩენილმა საბჭოთა რეჟისორმა მიხეილ რომმა. მოსკოვში ფილმის ჩვენების შემდეგ მან თქვა: „ყველაფერი სიკეთე, რაც კი ახასიათებს ამ ხალხს, ჩანს ფილმშიც — ბრწყინვალე იუმორი და ღრმა ფილოსოფია აქ ძალზე რთულად და საინტერესოდ არის გადახლართული ერთმანეთში. ლირიკული, დრამატული, სევდიანი მომენტები, ყოველივე ეს გასაოცრადაა გადაღებული და თამამადაა გადმოცემული. თავისი ხედვითა და განვითარების მხრივ, ფილმი სრულიად ნოვატორულია და ამავე დროს იგი ეყრდნობა ხალხური იუმორის ტრადიციებს, რაც იმდენად ეროვნული, სუფთა და ნათელია, რომ ეს არა მარტო აბულაძის, არამედ მთელი ქართული კინემატოგრაფიის წარმატებად მიმაჩნია“.

თენგიზ აბულაძის შემდგომი ფილმი „ვედრება“ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების—„გველის მჭამელის“, „ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ მიხედვითაა შექმნილი. იმისათვის, რომ გადმოეცა არა მარტო ვაჟას პოეზიის სიმაღლე, არამედ მისი ფილოსოფიაც, რისთვისაც ფილმში გამოიყენა დიდი პოეტის პუბლიცისტური წერილები, მისი მსჯელობა „კეთილსა“, „ბოროტებაზე“, „ცხოვრების არსზე“. ფილმი „ვედრება“, ფართო ფილოსოფიური ნაწარმოებია, რომლისთვისაც რეჟისორმა გამონახა მკაფიო ნოვატორული ფორმა. ფილმის სამი ნოველა მკაცრ გრაფიკულ ხასიათშია გადაღებული, ხოლო მათი შემაერთებელი ინტერმედიები ამჟღავნებენ დიდ რეჟისორულ ფანტაზიას, რაც ამ სამ მოთხრობას აერთიანებს ერთ ფილოსოფიურ განსჯად ცხოვრების შესახებ.

დაბოლოს, თენგიზ აბულაძის კომედია „ყელსაბამი ჩემი სატრფოსათვის“ არის თანამედროვე ზღაპარი მთის ადამიანებზე, მათ ზნე-ჩვეულებებზე, ზღაპარი მხიარული და უშუალო.

ფილმი „ვედრება“ თენგიზ აბულაძემ 1967 წელს დადგა. ის ფაქტი, რომ შვიდი წლის შემდეგ ამ ფილმმა იტალიაში გამართულ სან-რემოს საერთაშორისო კინოფესტივალზე უმაღლესი პრემია დაიმსახურა, იმას მოწმობს, რომ დროთა განმავლობაში თენგიზ აბულაძის ფილმები არ კარგავენ მხატვრულ ღირებულებას.

სხვადასხვა ფილმები გადაუღია თენგიზ აბულაძეს, სხვადასხვა თემისა და ფორმის მხრივ, თუ ჟანრული თვალსაზრისით, მაგრამ მათ აერთიანებს ერთი იდეა — ადამიანურობისა და ჰარმონიული პიროვნების ჩვენებისა. თენგიზ აბულაძის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის დამახასიათებელია დაუოკებელი სწრაფვა ახალი ხერხების გამოყენებისათვის, ამიტომ მისი ფილმები დგას მსოფლიო კინოხელოვნების თანამედროვე ქმნილებათა გვერდით.

კორა წერეთელი





თენგიზ აბულაძე ფილმზე მუშაობის დროს

# გუთნის ქუჩაზე

გიორგი პაპიაშვილი



## დამცირება

ტყუპი ძმების — სოლომონ და ვალიკო პანკელაშვილების სახლის სხვენზე ბიჭები სამტრედეს ვაკეთებდით. საფოსტო მტრედები უნდა გვეყიდა, მოგვემრავლებინა და მათი მეშვეობით კავშირი გაგვება სხვა ქალაქების ბავშვებთან... მტრედების შესაძენად ჯერ ერთი მანეთი გვქონდა...

ვახტანგ ელერდაშვილმა და მისმა დეიდაშვილმა შოთა ცხოვრებაშვილმა უცხო, ყავისფერი მტრედი დაიჭირეს. ფეხზე ბარათი ჰქონდა მიმაგრებული. რუსულად ეწერა:

„უცნობო მეგობრებო!

ჩვენ, მოსკოვის ოლქის, ლუხოვიცკის რაიონის, სოფელ დედინოვოს საშუალო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეები ვართ. გულითადად მოგესალმებით. გვსურს თქვენთან დაახლოება — ველით ბარათს. მიტია ლაშონოვი, პეტია გენერალოვი".

ამ ამბავმა უფრო დაგვაინტერესა და საქმეს მეტი მონდომებით მოვეკიდეთ.

ერთ დღეს, ჩვენ რომ ჩვენი საქმით ვიყავით გართული, ეზოში კივილი გაისმა... ჩვენი მეზობელი დეიდა მარიამი თავის ქალიშვილს თმით მიათრევდა შინისკენ.

— მომიკვდი, შენზე დავრჩი მტირალი, ჩაგდე მიწაში!..

ელიკო შინ შეაგდო, მერე გარეთ გამოვიდა, ალაყაფის კართან მდგომ „აზიურებში" გამოწყობილ ვაჟს მივარდა და დაუყვირა:

— ვინა ხარ, რატომ არ დაანებებ თავს ჩემს ქალიშვილს! გაეთრიე, აქ აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმა!

— დამშვიდდით, რას მემართლებით! — თავს იცავდა ვაჟი.

— გაიგეთ, რას მემართლებითო! — კივილს უმატა მარიამმა, — შენი იღბალი, ჩემი ქმარი და ბიჭი არ არიან შინ, თორემ ბროწეულივით გაგწურავდნენ!

— რატომ მემუქრებით, რა დავაშავე? — იწყინა ვაჟმა, — თქვენი ქალიშვილი ნამდვილად მიყვარს, საცოლედ მინდა!

— მამა გიცხონდა, კარგი მადა გქონია, შე ლატაკო, უსწავლელო!

— მერე რა, რომ ღარიბი ვარ, ვმუშაობ, თან ვსწავლობ...

— შენი არაფერი გვინდა, წადი! — მეზობლების დანახვაზე უფრო გაგულისდა მარიამი და შეკრებილებს შესჩივლა: — ნახეთ, ამ რეგვენმა რა გამიბედა... შენი ქალიშვილი ცოლად მინდაო!

— მართლა? ხედავთ, რა უკადრებია?! — შეპარვით დასცინა სერგომ მარიამს და თავისთვის ჩაილაპარაკა, — რას ერჩი, მშვენიერი ბიჭია!

სხვებმაც კვერი დაუკრეს.

ყველას შეეცოდა ახალგაზრდა, სანდომიანი ვაჟი, რომელმაც დაცინვა და დამცირება არად ჩააგდო და იქაურობას უხმოდ გაეცალა.

— ანგელოზივით ბიჭია, სხვა რა უნდათ! — გაბრაზდა სერგო, — მაგრამ ვაჭრები არიან და იმიტომ იწუნებენ...

— ქონება, თორემ თავისი შრომითა და ოფლით აქვთ ნაშოვნი, აი, — დააყოლა არჩილმა, — მალე ხახამშრალს დასტოვებენ...

მარიამი უკმეხი, უკადრისი და ამარი ქალი იყო. ქმარსა და ვაჟსაც ისე ეშინოდათ მისი, რომ მთელი დღის ნავაჭრს კაპიკდაუკლებლად აბარებდნენ.

მარიამის მეუღლე ნიკო გამყიდველად მუშაობდა ერთ უთვისტომო მოხუც ვაჭართან, რომელმაც თავისი ქონება უანდერძა, ოღონდ ცოცხალსაც და მკვდარსაც მიპატრონეო... ანდერძის დამტკიცებიდან ერთ კვირაში ვაჭარი გარდაიცვალა... ხალხში ხმა გამოვიდა — იმ უკუღმართმა მარიამმა საჭმელში საწამლავი ჩაუყარა და მოკლაო.

ასე გამდიდრებულა აწკარუნაშვილების ოჯახი.

ელიკო სათნოებით, სილამაზით სხვებისაგან გამოირჩეოდა უბანში. ნასწავლი, მუსიკის მოყვარული ქალიშვილი იყო. აფსუსი არ არის, ასეთი გოგო აწკარუნაშვილების ოჯახში იყოსო, ხშირად გაიგონებდით.

## პრემიერის წინ

იმ დღეს მამაჩემი დილიდანვე უგუნებოდ იყო, ამრეზილად გვიყურებდა ყველას. ერთი ჭიქა ჩაი ნახევრამდე მოსვა და ჩუქმების კერვას შეუდგა. თანდათან გაერთო შრომაში, დაწყნარდა და სევდიანად ალიღინდა:

„არა ვარ ქვეყანაზე, როგორც რომ გემი მღელვარე ზღვაზე. მე შენ მიყვარდი, მარტო შენ მყავდი მთელ ქვეყანაზე. მხოლოდ შენ ერთი მწამდი, ვით ღმერთი, მიწა თუ ცაზე, დავკარგე სმენა, დამიდგა ენა, ვტირი ჩემ თავზე".

იეთიმ გურჯის ეს ლექსი ახლაც ზეპირად მახსოვს. ხშირად მღეროდა, განსაკუთრებით, როცა საქმე არ უმართლებდა, ან გააბრაზებდნენ.

ამ დროს კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

—მამაშენი შინ არის? — მხიარულად შემეკითხა უცნობი მამაკაცი, ხელში ჟურნალ-გაზეთების დასტა ეჭირა.

პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი, რომ მამაჩემის ხმა გაისმა:

— ბიჭო სოსო, შენა ხარ? — შემოდი! — შეეგება სტუმარს, შემოიპატიჟა ოთახში, — როგორ მიპოვე, ვინ მოგასწავლა?

— არხეინად იყავი. დღეს ქვეკნელში რომ დამალულიყავი, იქაც მოგაგნებდი.

უცნობმა დედაჩემს თავი დაუკრა, მე ხელი ჩამომართვა, ჩემს პატარა დას კი მიუალერსა და ჰკითხა:

— რა გქვია?

— მარიკა!

—ლექსი იცი?

— ვიცი, სიმღერითა და ცეკვითა.

— ყოჩაღ, ეს რა კარგი გოგო ყოფილხარ! — უცნობმა ჯიბიდან ფერიანი კამფეტები ამოიღო და გამოუწოდა.

სტუმარი მამაჩემს მიუჯდა და ვიღაც რეჟისორზე, პრემიერაზე, წარმოდგენაზე, არტისტებზე ალაპარაკდნენ. სტუმარი მამაჩემს არწმუნებდა: საღამოს თუ წარმოდგენაში არ გამოხვალ, დიდ დანაშაულს ჩაიდენ ქართული თეატრის წინაშეო.

— დავით, მართალი გითხრა, ვეღარა გცნობ, — ეუბნებოდა სოსო, იცი, რომ წარმოდგენა მზად არის, ბილეთები გაყიდულია, მთავარ როლს შენ ასრულებ, გამოსვლაზე კი უარს ამბობ.

— კარგად იცი, მრავალი წელია ვემსახურები ჩვენს თეატრს, — გაუპასუხა მამაჩემი, — მუდამ თქვენთან ვიყავი.

— ჰოდა, მითუმეტეს!

— გუშინწინ კი რეჟისორმა ძალიან მაწყენინა...

— ვიცი, რაც გითხრა, მაგრამ უარის უფლება მაინც არა გაქვს, მეგობრებს უღალატებ, წარმოდგენას ჩააგდებ? აი, წერილი, — მოკეცილი ქაღალდი გაუწოდა მამაჩემს, — ბოდიშს გიხდის.

მამაჩემმა წაიკითხა, ფურცელი დაკეცა და მაგიდაზე მიაგდო:

— ჩემო ძმაო, მე ხელოსანი კაცი ვარ, ამ ჩემს მარჯვენას ვლევი და ალალი შრომით ოჯახს ვარჩენ. უბანში ფეხსაცმლის მკერავი ოცდახამი კაცი აღმოვჩნდით, ყველანი მოვეწყვეთ ამხანაგურ გაერთიანებაში და კარგადაც ვართ. ჰოდა, სახვეწარი რა მაქვს, ბოლოს და ბოლოს,



რა დიდი გამოჩენილი, შეუცვლელი მსახიობი მე მნახეთ...

— დავით, მე რაღ მელაპარაკები ასე?

— მა რა ვქნა, გაცხარებულ გულზე...

— ახლა რომ გამაწბილო, ჩვენს შორის ყველაფერი გათავდება. გესმის?

მამაჩემი მოღუშული იდგა...

— გაიგე, დავით, რაც გითხარი?

მამაჩემს უცბად გაეღიმა. ხელი მხარზე დაჰკრა მეგობარს და ჩაიღიღინა:

არა, არა გერიტოჯან,

მე შენ ვერ გაწყენინებ...

— კაცური კაცი ხარ, დავით ჩემო, ამიტომ გეხელი შინ. გმადლობ ყველაფრისათვის, — მოეხვია, აკოცა მამაჩემს, — ახლა ორივე კარგ გუნებაზე ვართ და, მოდი, ის პატარა ნაწილი გავიმეოროთ „სამშობლოდან". შენ სვიმონ ლიონიძე ხარ, მე ლევან ხიმშიაშვილი... მიყვარს, აღტაცებული ვარ პიესის ამ დიალოგით.

— აბა, დაიწყე! — სთხოვა მამაჩემმა.

ძიამ ნირგატეხილი, შერცხვენილი კაცივით დაღუნა თავი...

მამაჩემი უცბად შეიცვალა, განრისხდა, წინსაფარი მოიძრო, მოკეცა და გაუწოდა:

„— აიღე-მეთქი ეს ხმალი და წადი საომრად! წადი, სადაც შენი მოვალეობა მიგიწვევს და ჩემი გამოცდილება გგზავნის... და თუ სიკვდილი შეგემთხვა... მოკვდი, როგორც მეომარი სამშობლოსათვის, როგორც გმირი, მისთვის წამებული... მაგით მაინც მოინანიე შენი ცოდვა!

— გეფიცები, რომ ცოცხალს ვეღარა მნახავ!

— არა, ცოცხალი იყავ, ცოცხალი... ოღონდ გამარჯვებული კი გნახო!

— ეგ შენდობის ნიშანია, სვიმონ!"

დედაჩემი, მე და მარიკა გასუსულები ვუყურებდით მამაჩემსა და სტუმარს. მამაჩემმა დიალოგი დაამთავრა და ცრემლით აევსო თვალები... მერე სტუმარი გააცილა. მე შორიახლოს მივდევდი...

— გოგი! — სარკმლიდან ხელი დამიქნია ელიკომ. მივირბინე.

— ეგ კაცი თქვენთან იყო?

— ჩვენთან იყო, მამაჩემის ამხანაგია!

— რას ამბობ, ბიჭო, პოეტი გრიშაშვილი? საიდან სადაო?!

— მამაჩემის ამხანაგია და...

ცოტათი მეც ეჭვი შემეპარა და შინ დაბრუნებულმა მამაჩემს ვკითხე:

— ვინ იყო ის კარგი ძია?

— ჰო, შვილო, ის მართლაც კარგი ძია, — პოეტი იოსებ გრიშაშვილია.

## წაგებული ლატარია

კვირა დღე იყო. ეზოში თუთის ხეზე ჩამობმულ საქანელაზე ვქანაობდი, როცა ხრინწიანი ხმა შემომესმა:

— ლატარია, წაუგებელი ლატარია!

გზაჯვარედინზე სახედარშებმული, შეღებილი, პრიალა ორთვალა იდგა. ზედ დამაგრებული იყო მრგვალი, უჯრედებად დაყოფილი, ვეება ფირფიცარი, რომელზეც ეწყო ფოჩებიანი კანფეტები, ჯოხებზე ჩამოცმული „მამალოები", კბილის ფხვნილები ჯაგრისებით, პაპიროსი, ახანთი, შიბაქები, nაირ-ნაირი პატარა თოჯინა, წიგნი, რვეული, კალამ-ფანქარი, თიხის ყულაბა, სახაზავი, ქაღალდის პატარა პარკებში ჩაყრილი მზესუმზირა, ბატიბუტი და ვინ მოსთვლის კიდევ რა... ამოშვერილ ღერძზე დამაგრებული იყო გრძელი ისარი. ორ შაურს მისცემდი ხრინწიან კაცს, შემდეგ ისარს თითს გაჰკრავდი და რასაც დაუპირისპირდებოდა, შენი იღბალიც ის იყო.

ორთვალას გოგო-ბიჭები შემოეხვივნენ. მოზრდილებმაც მოიყარეს თავი.

გაჩაღდა თამაში — მსურველნი ფულს იხდიდნენ და ისარს ატრიალებდნენ, გულნაკლული არავინ რჩებოდა — ყველა რაღაცას იგებდა, მაგრამ ჩიხტიკოპში გამოწყობილი მომცინარე თოჯინა არავის შეხვედრია.

ამ დროს ის ვაჟი გამოჩნდა, რომელიც დეიდა მარიამმა ამ რამდენიმე დღის წინათ გალანძღა და გააგდო. ექვსჯერ ზედიზედ დაატრიალა ისარი და ბოლოს თოჯინა მოიგო... ელიკოს სახლისკენაც გაიხედა და თვალით ვიღაცას ეძებდა. ბოლოს მზერა ჩემზე შეაჩერა.

— ამ უბნელი ხარ? — მკითხა.

— ჰო, ამ სახლში ვცხოვრობ.

— მე კახა მქვია, სვანეთისუბნელი ვარ. შენ რას გეძახიან?

— გოგის.

— ჰოდა, მოდი დღეიდან მეგობრები ვიყოთ. — ელიკო აწკარუნაშვილს ხომ იცნობ? — ჩამჩურჩულა.

— როგორ არ ვიცნობ, ჩვენს პირდაპირ ცხოვრობს.

კახამ ლატარიაში მოგებული კანფეტები, რვეული და მზესუმზირა გადმომცა.

— ესენი შენი იყოს. ეს თოჯინა კი ელიკოს გადაეცი და უთხარი, კახამ გამოგიგზავნა-თქო. გადაეცი, რომ დღეს შებინდებისას, უსინათლოთა სკოლის შესასვლელთან ვუცდი. თუ ვერ მოახერხებს მოსვლას, შემატყობინე!

კახას ნაჩუქარი შინ შევიტანე, თოჯინა უბეში გადავმალე, გადავედი ეზოში და ელიკოს დავუდარაჯდი.

ელიკომ ხის გობით სარეცხი გამოიტანა გასაფენად, ხეებზე გაბმული თოკი გაწმინდა. მივუახლოვდი და უბიდან თოჯინა ამოვიღე, კახამ გამოგიგზავნა-მეთქი.

— კახამ?! — გახარებულმა თოჯინა მკერდზე მიიკრა, ლოყები შეუწითლდა, — მართლა კახამ გამოგატანა?

— ჰო-მეთქი! დამალე, დედაშენმა არ დაინახოს. — საღამოს უსინათლოთა სკოლის წინ დაგელოდება!

## იეთიმ გურჯი

როგორც ყოველთვის, იმ შაბათსაც ჩვენს ეზოში უბნის ხელოსნები შეიკრიბნენ. თუთის ხის ძირას გრძელ მაგიდაზე სუფრა გაიშალა. სტუმრის მოლოდინში ხელოსნები ბაასობდნენ. ბოლოს ერთმა ვეღარ მოითმინა:

— დავიწყოთ, ბიჭებო. მოვა, ხომ კარგი და კარგი, ჩემი თავი ენაცვალოს, ხელგულგაშლილი შევხვდებით; არ მოვა და, ღმერთმა გამარჯვებული ატაროს, მის სადღეგრძელოს მაინც შევსვამთ და დავლოცავთ!

ის იყო თამადამ პირველი ჭიქა აიღო ხელში, რომ კარიც გაიღო. გაისმა შეძახილები:

— ეთიმ გურჯს სიცოცხლე!



— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

მავნაბადიანმა, თექისქუდიანმა ვაჟკაცმა დინჯად შემოაბიჯა, დამხვდურებს თავი დაუკრა და იკითხა:

— დაგვიანებულ სტუმარსა და მის [illegible] დოსტებს მიიღებთ?

— მობრძანდით!

აშუღმა ნაბადი გადაიწია და მკლავის სიმსხო სანთლისფერი შევერცხლილი ჯოხი გამოაჩინა. იეთიმს რიგ-რიგობით შემოჰყვნენ ცნობილი მედოლე-მომღერალი ბაგრატ შულავრელი, სახელგანთქმული მედუდუკე თეთრუაშვილი, ნასყიდაშვილი, მუქიასოვი, თბილელი, ჭოჭკანელი და გომელაური.

აღტაცებული მასპინძლები სიხარულით შეეგებნენ სახალხო მგოსანს, მელექსესა და მომღერალს იეთიმ გურჯს, აღმოსავლური მუსიკის ოსტატებს.

თამადამ ყანწი გადასცა იეთიმ გურჯს.

— რამე გვითხარი, იეთიმ!

ყველა გაისუსა.

— თქვენს მარჯვენას, მეგობრობას, შრომასა და თბილი, ტკბილი პურის ჭამას გაუმარჯოს! — დაილოცა აშუღი და შულავრელს ანიშნა, დაუკრითო...

დუდუკები აკვნესდნენ. დიდი და პატარა გარს შემოეხვია მოქეიფეებს. აშუღი ჩვეული სიდარბაისლით ასრულებდა თავის ცნობილ სიმღერას: „იმას შვილად ვერ მივიღებ"...

მოულოდნელად ვიღაცამ დამიძახა. გავედი და კახა დავინახე. ძმასავით მომეხვია, ქაღალდში გახვეული შეკვრა გადმომცა:

— ეს ბალთებიანი ქამარი შენ გაგიკეთე, სახსოვრად გქონდეს!

მადლობა გადავუხადე და თან შევეკითხე:

— მექამრე ხარ?

კახამ გაიცინა:

— ქამრებსაც ვაკეთებ, უნაგირებსაც ვკერავ, ზეინკლადაც ვმუშაობ და სკოლაშიც ვსწავლობ...

მერე მთხოვა, დამეხმარე, ელიკოს მინდა შევხვდეო. დავპირდი. შევთანხმდით და ისევ ეზოს მივაშურე.

ლხინი გრძელდებოდა.

მე, სპირიდონ ძამაშვილი, ვახტანგ ელერდაშვილი და ჟორა შარაბიძე მაყლებს ვუნიავებდით და შამფურებს ვატრიალებდით.

იეთიმ გურჯმა სადღეგრძელოს უფლება ითხოვა, ულვაში შეისწორა და ყანწი მოიმარჯვა:

— ძმებო, მალე ჩვენს ახალ ქვეყანას არსებობის ათი წელი უსრულდება. გაუმარჯოს მას! — და ყანწი რომ დასცალა, თქვა: — ამ დღისთვის ლექსი დავწერე და ბაგრატ შულავრელს გადავეცი, მოდით, მოვუსმინოთ!

გაისმა ტკბილი ჰანგი და სიმღერა:

სალამი ახალ ქვეყანას,
სალამი პროლეტარებსა,
მუშა-გლეხისა მთავრობას,
ჩვენსა გმირ წითელ ჯარებსა...

...გათენდა. ლხინის დასასრულს მასპინძლებმა იეთიმ გურჯთან სამახსოვრო სურათი გადაიღეს. მეც ბიჭებთან ერთად აშუღის გვერდით ჩავცუცქდი...

## თოჯინა

ბევრი ვეცადე, მაგრამ ელიკოს ნახვა ვერ მოვახერხე. ვწუხდი, რომ კახას მორიგი დავალება ვერ შევასრულე... მეორე დღეს, სკოლიდან დაბრუნებულს რამდენიმე საათი თვალი არ მომიწყვეტია მისი სარკმლისათვის, ამ ხნის განმავლობაში ფარდებიც კი არ შერხეულა...

ელიკოს სახლში მხოლოდ ერთხელ ვიყავი ნამყოფი ორიოდე წუთით და ცუდის მეტი არაფერი დამხსომებია: ჩვენებმა ფულის სასესხებლად გამგზავნეს დედამისთან. მარიამმა უარით გამომისტუმრა და თანაც დამცინავად მითხრა: თქვენ თუ არა გაქვთ ფული, ჩვენ ვინ მოგვცაო.

და ეს მითხრა მდიდარი ვაჭრის ცოლმა!

ელიკო უსათუოდ უნდა მენახა, ამიტომ გავბედე და კალათით მივედი, თითქოს დედაჩემმა კარტოფილის სასესხებლად გამგზავნა.



კარზე რამდენჯერმე დავაკაკუნე. ხმა არავინ გამცა. ის იყო წამოსვლა დავაპირე, რომ ფარდა გადაიწია და დავინახე ნამტირალევი ელიკო კახას ნაჩუქარი თოჯინით. თითით მანიშნა, კარის ჭუჭრუტანას მიადე ყურიო.

— გოგი, ძვირფასო, —მითხრა. — ჩაკეტილში ვყავარ ჩვენებს, სახლიდან გარეთ გასვლა ამიკრძალეს. დილით დედაჩემი სადღაც წავიდა, დამემუქრა. ნამდვილად ვგრძნობ, რაღაცას ცუდს მიპირებს. მეშინია, კახას არაფერი აუტეხონ... წერილი მაქვს დაწერილი და დღესვე გადაეცი, თორემ მერე შეიძლება გვიანღა იყოს. ორთქლმავალ-შემკეთებელ ქარხანაში ზეინკალია. იქ თუ არ დაგხვდა, სახლში მიდი, მისამართი კონვერტზეა...

კონვერტი კარქვეშიდან გამოაცურა. ხელი ვტაცე და მოვკურცხლე...

ქარხანას ძლივს მივაგენი. კახამ რომ დამინახა, მომვარდა:

— ცუდი ხომ არაფერია?

კონვერტი გავუწოდე.

ნერვიულად კითხულობდა... როცა კითხვა დაამთავრა, წერილი დააგდო და სახელოსნოდან გავარდა. დავწვდი ბარათს და კახას ავედევნე, მაგრამ ვერ დავეწიე... წერილში ეწერა:

„კახა, ძვირფასო! მიყვარხარ და შენს მეტი არავინ მინდა. ჩვენებს კი ამის გაგონებაც არა სურთ. ახლა სახლშიც ჩამკეტეს, მცემეს... მოკვლით გვემუქრებიან. ერთი გამოსავალი ვპოვე—თავი უნდა მოვიკლა. გკოცნი ბევრს. დარწმუნებული იყავი, რომ შენზე ფიქრში დავლიე სული".

ჩვენს უბანში სირბილით არაქათგამოცლილი მივედი. ელიკოს ეზოსთან უამრავი ხალხი და „ტრუბკა" ვასოს ეტლი რომ დავინახე, შიშმა ამიტანა — რაღაც უბედურებაა-მეთქი. ამ დროს კარიდან გამოვიდა სასოწარკვეთილი კახა — ხელში აყვანილი მოჰყავდა ელიკო. გულწასული ქალი ეტლში ჩასვა, ორივე მხრიდან ვიღაცები ამოუდგნენ და მეეტლემ მთელი სისწრაფით გარეკა ცხენები საავადმყოფოსაკენ.

— საბრალო, შინ ჰყოლიათ გამოკეტილი!

— ნახე, შეყვარებულმა როგორ შელეწა კარი!

— თოკიდან ჩამოუხსნია!

— ნეტავი გადარჩებოდეს საბრალო გოგო!..

ასე ლაპარაკობდნენ დაზაფრული მეზობლები.

როცა ხალხი მიმოიფანტა, იქ, სადაც ეტლი იდგა, ფეხით გასრესილი თოჯინა დავინახე. ავიღე, მკერდზე მივიკარი და ავსლუკუნდი.

## ერთად ვიაროთ

ვიაროთ, ერთად ვიაროთ,
თორე ღამდება, ბნელდება,
ბედი გვეწვევა ერთადა,
ხალისი დაგვებედება.
წავიდეთ, ერთად ვიაროთ,
აგვცდება გასაჭირია.
ნუ დავშორდებით ერთმანეთს,
ვითარცა ქვა და კირია.

მთქმელი **ვ. ჩოხელი**
თიანეთი, სოფ. ჩაბანო

## მრისხანე ბატონი

ძველად ჩვენს სოფელში ერთი უჯიათი და გულქვა მებატონე ცხოვრობდა თურმე. ხოსია ერქვა. მის საბატონოში კრინტის ამოღებას ვერავინ ბედავდა, ყველა დამუნჯებულივით დაიარებოდა.

ხოსიას ეზოში ყვირილას ერთი ტოტი გალაღდოდა. ზამთარ-ზაფხულ ანკარა ღელე ჩხრიალებდა საყვარლად. შევხედოთ და ერთ დღეს ის წყალი დაშრა.

— რამ დააშრო ჩემი ღელე! — შესძახა ხოსიამ.

ერთმა გლეხმა, რომელსაც ცხენი შეკაზმული ჰყავდა, მრისხანე ბატონს მოახსენა:

— პირში წყალი გვაქვს ყველას ჩაგუბებული, დაშრება, აბა, რა ჯანაბა მოუვაო!

მთქმელი **მ. მიშველაძე**
საჩხერე, სოფ. ჭალა

## მეცხვარის სიმღერა

მე ჩემი ოფლით ვიცხოვრებ,
სხვისი შემყურე არ ვარო,
ფარა მყავს, დავხეტიალობ,
სულ მთა-ღრეებში დავალო.
ცხვარს რომ შევუსევ სერებსა
და იქვე წამოვგორდები,
მგონია მუდამ ვიცოცხლებ,
სულ არასოდეს მოვკვდები.
გული თავისით ღიღინებს,
არ სურს წადილი დამალოს;
ცხვარო, იხარე, გალაღდი,
ოთხყურას შთამომავალო.

მთქმელი **გ. რუხიაშვილი**
თიანეთი, სოფ. საყდრიონი

## გომეწრის ხეობა

მდინარე გადარეულა,
მოდის, მოღმუის ხველებით,
მთა ვარსკვლავს ეალერსება
ცამდე აწვდილი ხელებით.
კლდეები შემოაჩრდილა
არწივმა მაღლა ტრიალით,
აქ ვერსად გაიჭაჭანებს
ყორანი ოხერ-ტიალი.

მთქმელი **ი. ბუაჩიძე**
ახმეტა, სოფ. ჯვარბოსელი

## ბებერსაც მოეწონება

ასეთი არის სიბერე,
სიპ ქვასა შეეწონება,
მაგრამ ლამაზის დანახვა,
ბებერსაც მოეწონება.

მთქმელი **ს. დავითაშვილი**
წინანდალი

## პეტრე და პავლე

პეტრე პავლეს ესტუმრა. პავლემ ღვინო ამოიღო და აპურმარილა. პეტრე ძალიან დათვრა, შინ ძლივს მიფრატუნდა. მაგრამ ვაი ასეთ ქეიფს: ჩამწარდა და ჩაშხამდა. მეორე დღეს ჭაჭანაჭამი ინდაურივით დაყვარყვატებდა თავშეხვეული.

პეტრე ორიოდე თვის შემდეგ ბაზარში შეხვდა პავლეს. პავლე წარბშეკრული იყო

— რატომ მოგიწყენია? — ჰკითხა პეტრემ.

— დავიღუპე, პეტრე, დავიღუპე, — თავი გადაიქნ-გადმოიქნია პავლემ, — საკარმიდამოში კომბოსტოს ჩითილი დავრგე, მეგონა იხეირებს და ფეხზე წამომაყენებს-მეთქი.

— მერე?

— ფოთლები განზე გაფშიკა, თავს ერთიც არ იხვევს!

— ეგ გადარდებს, შე კაცო? — შესცინა პეტრემ, — შენი ღვინო დაალევინე და თავს ყველა შეიხვევს!

მთქმელი **ნ. დეკანოიძე**
საჩხერე, სოფ. მერჯევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გახსენება

დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე რამდენიმე თვეღა იყო დარჩენილი, როცა ზაქარია დოლიაშვილის ოჯახში თავზარდამცემი ცნობა მიიღეს.

„მეთაური ზაქარია დიმიტრის ძე დოლიაშვილი 1945 წლის 3 თებერვალს გმირულად დაიღუპა სოციალისტური სამშობლოსათვის ბრძოლაში. მამაცი მებრძოლი დაკრძალულია პოლონეთის სოფელ ზვინოვიჩში“. — ძუნწად იუწყებოდა სამხედრო კომისარიატიდან გამოგზავნილი ცნობა.

ზაქარია დოლიაშვილზე — პოეტსა და ჟურნალისტზე თითქმის არაფერი დაწერილა. იგი ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, რომლებმაც სამამულო ომის დაწყების წინა წლებში გამოაქვეყნეს პირველი ლექსები, შემდეგ კალამი ხიშტით შეცვალეს და თავიანთი მჩქეფარე, ახალგაზრდული სიცოცხლე გმირულად შესწირეს სამშობლოს.

ზაქარია დოლიაშვილი 1908 წელს დაიბადა თიანეთის რაიონის სოფელ ქებოტაში. მუშფაკის დამთავრების შემდეგ იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე განაგრძობს სწავლას. ზაქარია სტუდენტობიდანვე ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში: რედაქტორობდა უნივერსიტეტის გაზეთს, პერიოდულ პრესაში აქვეყნებდა მხატვრულ ნარკვევებსა და ლექსებს, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა შემოქმედებით ცხოვრებაში.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ზაქარია დოლიაშვილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ყაზბეგის რაიონული გაზეთის „ახალი ხევის“ რედაქტორად გააგზავნა.

შეიძლება ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ითქვას, რომ ზაქარია დოლიაშვილის რედაქტორობით გამოსული „ახალი ხევი“ მთელს რესპუბლიკაში მაშინ ერთ-ერთი საუკეთესო რაიონული გაზეთი იყო.

აი, რას სწერდა იოსებ გრიშაშვილი ახალგაზრდა რედაქტორს:

„ამხანაგო ზაქრო! მომავალ 1940 წელსაც მიგზავნე თქვენი გაზეთი „ახალი ხევი“. შიგ საინტერესო მასალები იბეჭდება ხოლმე და ჩემს ბიბლიოთეკას სჭირდება. ვეცდები, რაიმე ლექსი მოგაწოდო“.



1942 წელს ზაქარია დოლიაშვილი ჯარში გაიწვიეს. ჯარისკაცის მაზარაში გახვეული პატრიოტი მწერალი გმირულად ებრძოდა მტერს ჩრდილოეთ კავკასიაში, უკრაინაში, პოლონეთში... ფრონტზე გამოჩენილი მამაცობისათვის ზაქარია დოლიაშვილი წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს.

ლექსის ტრფიალი ომის გზებზე თან სდევდა პოეტს. ზაქარია დოლიაშვილი გრძნობდა, რომ მას ჯერ ცოტა რამ ჰქონდა გაკეთებული მწერლობაში და თავის გახმაურებულ პოემა „ლექსო იარაჯულს“, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ ლექსებსა და სხვა პოემებს ფრონტიდან გამოგზავნილი ახალ-ახალი ლექსებით ავსებდა.

დაღუპული პოეტის ფრონტიდან გამოგზავნილი ლექსებისა და წერილების გადათვალიერებისას თვალში მომხვდა სანგარში დაწერილი ლექსი „ია“, რომელიც, ჩვენი აზრით, ნათლად გადმოგვცემს იმ სულიერ განწყობილებას, რომლითაც სულდგმულობდა სამშობლოს დასაცავად აღზევებული ქართველი პოეტი-პატრიოტი.

გთავაზობთ ამ ლექსს.

ალექსანდრე სიგუა

## ია

ჩემი სანგრის წინ შევნიშნე ია —
ლურჯი ცასავით ლურჯად ანათებს,
თითქოს განსაცდელს აქ შეხიზნია —
გამოქცეული ფაშისტ ჯალათებს.
ძვირფასი ია! სურნელი ია!...
მშვიდობის განცდას — გულს შესთავაზებ,
ნიავზე ტანში ირხევა ნაზად —
ბუნების ეშხი და სილამაზე...
რა ლამაზია სანგრის წინ ია —
დიად მშვიდობის ძვირფასი განცდა.
ასე მგონია, გადურჩა სიკვდილს,
რამდენი ტყვიაც ზუზუნით ასცდა!..

ნამი ყვავილის გულში ჩამჯდარი —
ცის ნათელ შუქზე ბროლივით ელავს,
უცქერ ამ ტურფა ბუნების გვირგვინს
და გსურს აღუთქვა რაიმე შველა...
უცქერი იას... მტრის ყუმბარები
დაეცა ახლოს, დათხარა მიწა,
გაჰქრა ყვავილი, დავეძებ თვალით —
ქარმა წაიღო, თუ გადაიწვა.
იის ადგილზე გამოჩნდა თხრილი
და კვამლის სვეტი ცას მიბჯენილი,
აღარსად იყო, ბევრჯერ შემთხვევით
ყვავილი, სიკვდილს გადარჩენილი.

...ჩვენ დავუბრუნებთ სინაზეს იას —
ბუნებას ეშხი დაუბრუნდება,
დაუბრუნდება სიცოცხლე ყველას,
ყველა მხურვალედ აგუგუნდება!...
10. 12. 44 წ.

# კონიაკი

ეს მოხდა იალტაში ამ რამდენიმე წლის წინათ გამართულ ღვინოებისა და კონიაკების მეორე საერთაშორისო კონკურსზე. ჟიურიმ, რომელიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილი დეგუსტატორებისაგან შედგებოდა, კონკურსის შედეგები შეაჯამა. პირველი პრიზი — „გრან-პრი“ მიენიჭა საქვეყნოდ სახელგანთქმულ უძველეს ფრანგულ კონიაკ „ნაპოლეონს“. გამარჯვებულს სულ რაღაც ოთხი მეასედი ქულით ჩამორჩა ქართული კონიაკი „საიუბილეო“. ამავე კონკურსზე ოქროს მედლები დაიმსახურეს ჩვენმა კონიაკებმა: „ენისელმა“, „გრემმა“, „ვარძიამ“, „თბილისმა“.

ქართული კონიაკების ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება შემთხვევითი როდი იყო. კონიაკის წარმოებას ჩვენში დიდი ხნის მდიდარი ტრადიცია აქვს. გასული საუკუნის დამლევს — 1888 წელს ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა დავით სარაჯიშვილმა საქართველოში პირველმა წამოიწყო კონიაკის სამრეწველო წარმოება. მისი სამარკო კონიაკები „ფინ-შამპანი“ და „ძველისძველი“ დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ საერთაშორისო გამოფენებსა და კონკურსებზე.

დავით სარაჯიშვილს ასევე დიდი დამსახურება მიუძღვის მაღალხარისხოვანი საკონიაკე სპირტის, არყის, ლიქიორის წარმოების ტექნოლოგიის დანერგვასა და პოპულარიზაციაში. 1890 წლის ერთ-ერთ ცნობარში აღნიშნულია, რომ დ. სარაჯიშვილის ფირმის მიერ გამოშვებული კონიაკები და ლიქიორი საუკეთესო სასმელებად სცნეს რუსეთისა და სხვა საერთაშორისო გამოფენებზე. ისინი თამამად უწევდნენ კონკურენციას მსოფლიოში სახელგანთქმულ კონიაკებსა და ლიქიორებს.

დავით სარაჯიშვილს ღირსეული მემკვიდრეები გამოუჩნდნენ. საბჭოთა საქართველოს კონიაკის წარმოების განვითარების საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ვახტანგ ციციშვილს (1888–1965 წ.). თავისი ნაყოფიერი, მეცნიერული შრომით მან ქართულ კონიაკს შორს გაუთქვა სახელი. ვახტანგ ციციშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა რამდენიმე ახალი მარკის კონიაკი, რომლებმაც არაერთხელ მოიყვანეს აღტაცებაში გამოცდილი დეგუსტატორები.

ქართული სამარკო კონიაკების წარმოების ტექნოლოგიის შემდგომ სრულყოფაში თავისი წვლილი შეიტანა აგრეთვე თბილისის კონიაკის ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა ვალერიან ჭანიშვილმა.

თავისი ცხოვრების ორმოცი წელი ვალერიან ჭანიშვილმა საუკეთესო ქართული კონიაკების შექმნას მოახმარა. სწორედ მისი აქტიური მონაწილეობით დამზადდა ისეთი მაღალხარისხოვანი კონიაკები, როგორიცაა: „საქართველო“, „გრემი“, „ვარძია“, „თბილისი“.

საქვეყნოდ სახელგანთქმული ქართული კონიაკების სპეციალისტი ვალერიან ჭანიშვილი დიდხანს მუშაობდა „სამტრესტის“ ღვინისა და უალკოჰოლო სასმელების ხარისხის ინსპექტორად. იგი მრავალი წლის განმავლობაში არის სრულიად საკავშირო სადეგუსტაციო კომისიის წევრი. ჩვენს ქვეყანაში ვალერიან ჭანიშვილს ერთ-ერთ პირველს მიენიჭა კონიაკის წარმოების პირველი კატეგორიის ტექნოლოგის წოდება. ნაყოფიერი მუშაობისათვის იგი მთავრობამ შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

შესანიშნავ სპეციალისტს ბევრი მიმდევარი ჰყავს. მისი მოწაფეები დავით ელიოზიშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, კარლო გველესიანი და სხვები მაღალი კლასის სპეციალისტები გახდნენ.

ეს სპეციალისტები შრომასა და ენერგიას არ იშურებენ ახალი ტიპის საუკეთესო კონიაკების შესაქმნელად. საკმარისია ითქვას, რომ მრავალრიცხოვანი კოლექტივის რამდენიმე წლის შრომა დასჭირდა, მაგალითად, ისეთი სურნელოვანი, ღია ოქროსფერი სასმელის შექმნას, — როგორიცაა „ვარციხე“.

— სამარკო კონიაკ „ენისელს“ კიდევ ერთი „გრან-პრი“ შეემატა ლაიფციგის ამასწინანდელ საერთაშორისო დეგუსტაციაზე, ხოლო „საქართველომ“ — სათვალავით მეხუთე ქართულმა კონიაკმა, სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიიღო. — გვითხრა კონიაკის ქარხნის დირექტორმა ოთარ რობაქიძემ და შემდეგ თავიანთი მომავლის გეგმები გაგვაცნო.

ქარხნის ტერიტორიაზე ამჟამად შენდება ახალი საწარმო, სადაც პირველად დამონტაჟდება სამაცივრო დანადგარები. ეს დანადგარები სპეციალისტებს საშუალებას მისცემს კონიაკები დაამუშაონ ახალი, ე. წ. გაცივების ტექნოლოგიით, რაც კიდევ უფრო აამაღლებს მათ სურნელებასა და საგემოვნო თვისებებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია მთელს კოლექტივში. ისინი კიდევ უფრო მეტი მონდომებითა და ხალისით შრომობენ. კონიაკის ქარხნის მშრომელთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა: წელს — შარშანდელთან შედარებით — 400 ათასი დეკალიტრით მეტი სხვადასხვა კონიაკები მისცენ სამშობლოს.

**რობერტ მეგრელიშვილი**





ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰარი ქაითი

## შემთხვევა მატარებელში

მატარებელი ქარის სისწრაფით მიჰქროდა. პირველი კლასის ვაგონის კუპეში მარტომყოფი მგზავრი თვლემდა, უცებ კუპეს კარი გაიღო. მგზავრი შეკრთა, ფერმა გადაჰკრა — კუპეში ნიღაბაკრული, იარაღმომარჯვებული კაცი იდგა.

— ხელები მაღლა! — უბრძანა მგზავრს.

მგზავრს სიცილი აუტყდა. ადგილზე მოხერხებულად გასწორდა და დაუპატიჟებელ სტუმარს უდარდელად მიუგო:

— კინაღამ შემაშინეთ.

—ლაყბობას მოეშვი, საფულე მომეცი! — შეღრინა ბანდიტმა.

მგზავრს ისევ სიცილი წასკდა. ჯიბიდან საფულე ამოიღო, მოძალადეს გაუწოდა და თან მოუბოდიშა:

— მომიტევეთ, შიგ გროშიც არ გდია.

ბანდიტმა საჩქაროდ გაჩხრიკა საფულე, შიგ რომ არაფერი აღმოჩნდა, საფულე იატაკზე მოისროლა.

— ეშმაკმა დალახვროს, ხომ გითხარით, ცარიელია-მეთქი, — უთხრა ღიმილით მგზავრმა.

— მაშ ჩემს დანახვაზე რატომ შეშინდით? — შეეკითხა ბანდიტი.

— საქმე ის არის, რომ მე არც სამგზავრო ბილეთი მაქვს და რევიზორი მეგონეთ! — მიუგო მხიარულად მგზავრმა.

გერმანულიდან თარგმნა
ზ. ამირანაშვილმა.

## უცხოური იუმორი



გამყიდველი: ეს მანქანა თქვენი სამუშაოს ნახევარს შეასრულებს.

მყიდველი: კეთილი, მაშინ მე ორ მანქანას შევიძენ.

□

დედა: მერი, სად არის ჯეინი?

მერი: სახლშია. ფორტეპიანოზე დუეტს ასრულებს.

დედა: როგორ შეიძლება დუეტი მარტომ შეასრულოს?

მერი: მეც ვუკრავდი მასთან ერთად, ჩემი პარტია დავამთავრე და ავდექი.

□

ფერმერი: ბიჭუნა, რას აკეთებ მაგ ხეზე?

ბიჭი: თქვენი ხიდან ვაშლი ჩამოვარდა და ვცდილობ, ისევ მივამაგრო.

□

—რატომ ტირი, ბობი?

— გალია გავასუფთავე და ჩიტი გაქრა.

—რით გაასუფთავე?

— მტვერსასრუტით.

□

მასწავლებელი: თუ ავიღებთ კარტოფილს, გავჭრით შუაზე, შემდეგ თითოეულ ნაჭერს გავყოფთ ოთხად, ამ ოთხ ნაწილს კიდევ ორ-ორ ნაწილად, რას მივიღებთ?

მოსწავლე: კარტოფილის სალათს, მასწავლებელო!

ინგლისურიდან თარგმნა
მ. სეფიაშვილმა

საქ. სსრ კ. მარქსის









ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამარჯვების გზები

თოთხმეტიოდე წლის საგარეჯოელ ბიჭუნას პირველად სპორტის ოსტატმა ვალერიან მეკოკიშვილმა მიაქცია ყურადღება.

— ამ ბიჭისაგან თავისუფალი სტილის საუკეთესო მოჭიდავე დადგება! — თქვა გამოცდილმა მწვრთნელმა და ლევან თედიაშვილი საჭიდაო ხალიჩასთან მიიხმო.

დაიწყო დაძაბული ვარჯიში. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ლევან თედიაშვილმა საშუალო სკოლა დაამთავრა, იგი უკვე სპორტის ოსტატი იყო.

პირველ დიდ წარმატებას ლევანმა 1971 წელს მიაღწია. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში იგი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

მას შემდეგ წარმატებას წარმატებები მოჰყვა. ლევან თედიაშვილი მტკიცედ ჩადგა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფალავანთა რიგებში.

მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებში ლევანი ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ტოლედოში საბჭოთა სპორტსმენმა ლევან თედიაშვილმა ერთხელ კიდევ მოხიბლა მრავალრიცხოვანი მაყურებელი თავისი დახვეწილი ილეთებით, გამძლეობით, მოქნილობით, დიდსულოვნებით, გამარჯვებისაკენ დაუცხრომელი სწრაფვით. მოხიბლა და აქაც გამარჯვებული გამოვიდა.

შარშან, საბჭოთა კავშირის პირველობაზე გამარჯვების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, საბჭოთა კავშირისა და მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევან თედიაშვილი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში და... სამბოში.

თეირანის საჭიდაო ხალიჩაზე, მძიმე და მომქანცველი ბრძოლის შემდეგ ლევან თედიაშვილმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში.

და აი, როცა საბჭოთა გუნდის წარმომადგენელი მოულოდნელად ავად გახდა და ჩვენი გუნდისათვის წაგება უნდა ჩაეთვალათ, დაღლილ-დაქანცული ლევანი მეორედ გავიდა ხალიჩაზე. ამჯერად იგი სამბოს სტილით ჭიდაობაში იღებდა მონაწილეობას.

რაღა გავაგრძელოთ: იმ დღიდან ლევან თედიაშვილმა თავის ტიტულებს სამბოში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც მიუმატა.

წინ ისევ მძიმე და დაძაბული ბრძოლებია. კვლავაც ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს სახელოვან ფალავანს — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ლევან თედიაშვილს.

ნუნუ კუკარიშვილი

## საინტერესო ამბების საკვირიდან

### მილიონჯერ მეტი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ატლანტიის ოკეანის ორ საპირისპირო მხარეს — ბრაზილიისა და სამხრეთ აფრიკის სანაპიროებზე ალმასის მდიდარი საბადოებია.

არის თუ არა რაიმე კავშირი მათ შორის? იქნებ ეს ორი, ერთმანეთისაგან ათასობით კილომეტრით დაშორებული საბადო ალმასის ერთი უმდიდრესი საბადოა, რომელიც ოკეანის ფსკერზე უწყვეტ ძარღვად არის გაჭიმული ბრაზილიიდან სამხრეთ აფრიკის სანაპირომდე?

ამ ჰიპოთეზას, რომელიც რამდენიმე წლის წინათ წამოაყენეს მეცნიერებმა, ახლა გულდასმით აზუსტებენ გეოლოგები და გეოფიზიკოსები.

წინასწარი მონაცემები საიმედო გამოდგა. სპეციალისტები თვლიან, რომ ოკეანის ფსკერზე მართლაც უნდა იყოს გაჭიმული თვითნაბადი ალმასის გიგანტური საბადო.

თუ ეს ვერსია გამართლდა, წინდაწინვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ საბადოს მარაგი რამდენიმე მილიონჯერ მეტი იქნება მსოფლიოში ამჟამად ცნობილი ალმასის ყველა საბადოს მარაგზე.

ალმასის ამ გიგანტური მარაგის მოპოვება მომავლის საქმეა. იგი მთელ რიგ ტექნიკურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. სპეციალისტები ამჟამად მუშაობენ ისეთი უნიკალური მყვინთავი რობოტის შექმნაზე, რომელიც ოკეანის ფსკერზე ჩაეშვება და ზუსტად დაადგენს ალმასის ძარღვის მიმართულებას.





### ხელოვნური კუნძულები

იაპონიის გარშემო უკანასკნელ ხანებში მრავალი ახალი კუნძული და ნახევარკუნძული გაჩნდა.

ეს კუნძულები და ნახევარკუნძულები ტექნიკის დახმარებით „დაიბადა“: ათასობით თვითმცლელი მანქანა, ექსკავატორი და სხვა დამხმარე საშუალება საგანგებო კარიერიდან დღე და ღამე უწყვეტ ნაკადად ეზიდება გრუნტს ზღვაში.

ასეთი მეთოდით შექმნილი კუნძულები და ნახევარკუნძულები დიდ დროს, უამრავ მუშახელსა და, რა თქმა უნდა, კოლოსალურ თანხებს მოითხოვს.

და აი, იაპონიის გემთმშენებელმა ფირმებმა შეიმუშავეს და მთავრობის ექსპერტებს წარუდგინეს მეტად ორიგინალური პროექტი, რომლის მიხედვით კუნძულები სწრაფად და შედარებით იაფად შეიძლება დამზადდეს მცურავი პონტონებისაგან.

კუნძულ-პონტონებზე ძირითადად აიგება სხვადასხვა სახის სამრეწველო ობიექტები. გარდა ამისა, აქვე შეიძლება გაშენდეს პარკები, სკვერები, სპორტული მოედნები, აიგოს ტურისტული სადგომები, მოეწყოს მსუბუქი მანქანების სადგომები, რომლებიც, მიწის ფართობის სიმცირის გამო, იაპონიის ქალაქებისათვის ამჟამად დიდ პრობლემას წარმოადგენს.

კუნძულ-პონტონების დამზადებისას გამოყენებული იქნება გიგანტური ტანკერების მშენებლობის მდიდარი გამოცდილება.

ხელოვნური კუნძულების გამოსაყენებელი ფართობი დაახლოებით 400 ათასი კვადრატული მეტრი იქნება.

საინტერესო ამბების საკვირიდან

## საინტერესო ამბების საკვირიდან

### ცხრა საათიდან-ექვს საათამდე

ხმაურთან ბრძოლა თანამედროვეობის გადაუჭრელი პრობლემაა. ჩვენ ახლა ათასგვარი ხერხებითა და მეთოდებით ვცდილობთ ქალაქებსა და მსხვილ დასახლებულ პუნქტებში ხმაურის შემცირებას, მაგრამ, როგორც ირკვევა, ხმაურთან ბრძოლას დიდი ხნის ისტორია აქვს და იგი ძველ დროიდანვე ითვლებოდა პრობლემატურ საკითხად.

ევროპაში ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გამოჩნდა პირველი ფიქსირებული ბრძანებები, რომელთა მიხედვით ის პირები, რომლებიც ხალხს სიმშვიდეს დაურღვევდნენ — სასამართლოს ძალით ისჯებოდნენ.

შუა საუკუნეებში, ზოგიერთ ქვეყანაში, ხმაურთან ბრძოლის თაობაზე გამოცემულ ბრძანებათა დამრღვევებს სასტიკად სჯიდნენ — უზარმაზარი ზარის ქვეშ სვამდნენ და ზარს მანამდე უკრავდნენ, ვიდრე დამნაშავე არ დაყრუვდებოდა.

XVII საუკუნეში ხმაურთან საბრძოლველად ინგლისში საგანგებო წესი შემოიღეს: ქმარს ყოველდღე შეეძლო ეცემა ცოლი, მხოლოდ გარკვეულ საათებში — საღამოს 9 საათიდან დილის 6 საათამდე. ცემის დროს დაუშვებელი იყო ხმამაღლა ლანძღვა და წივილი.

სხვათა შორის, ვინაიდან ეს კანონი არავის გაუუქმებია, იგი დღესაც მოქმედებს ინგლისში.



### კოსმოსის ალმასები

1888 წელს რუსმა მეცნიერებმა მ. ეროფეევმა და პ. ლაჩინოვმა, რომლებიც ერთ-ერთ მეტეორიტს იკვლევდნენ, სენსაციური აღმოჩენა მოახდინეს: მათ მეტეორიტში ალმასის მარცვლები შეამჩნიეს.

მას შემდეგ სხვა მეცნიერებმაც იპოვეს გაქვავებულ მეტეორიტებში ალმასის მარცვლები, მაგრამ როგორ წარმოიქმნება ალმასები „ზეცაში“ ამის პასუხი გაურკვეველი იყო.

რამდენიმე წლის წინ დასავლეთ ავსტრალიაში იპოვეს რამდენიმე გაქვავებული მეტეორიტის ნატეხი. მკვლევარებმა ერთი მეტეორიტის ნატეხი გადასცეს მოსკოვის ვ. ი. ვერნადსკის სახელობის გეოქიმიისა და ანალიტიკური ქიმიის ინსტიტუტს. საბჭოთა მკვლევარმა გ. ვდოვიკინმა ამ ნატეხში აღმოაჩინა ალმასის მარცვლები, რომლებიც არაფრით არ განსხვავდებოდა „მიწიერისაგან“.

შემდგომმა გამოკვლევებმა მეცნიერებს საშუალება მისცა წამოეყენებინათ ჰიპოთეზა თუ საიდან წარმოიშვა მეტეორიტული ალმასები. როგორც ანალიზმა უჩვენა, ალმასები წარმოიშვა კოსმოსურ სივრცეში მეტეორიტების დიდ ასტეროიდულ სხეულებთან შეჯახების შედეგად.

საინტერესო ამბების საკვირიდან

# ნაირ-ნაირი

ნაირ-ნაირი




## ახალი რეკორდი

ახალზელანდიურმა საფეხბურთო კლუბმა „როსლინ ვაკარიმ“ ამას წინათ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ფეხბურთის თამაშის ხანგრძლივობაში.

აღნიშნული კლუბის ორი გუნდი 31,5 საათის განმავლობაში ეთამაშებოდა ერთმანეთს ფეხბურთს. მატჩის დროს მეტოქეთა კარებში 168 გოლი იქნა გატანილი.

ძველი მსოფლიო რეკორდი, რომელიც ინგლისელმა ფეხბურთელებმა დაამყარეს, 29 საათს შეადგენდა.



## უხაროდეთ თაგვებს

ქალაქ დირფილდ-ბიჩეს (ფლორიდას შტატი, აშშ) დეპუტატების საქალაქო კრებამ დაადგინა, რომ კატების პატრონები ამიერიდან მოვალენი არიან თავიანთ ფისუნიებს ყელზე შეაბან... პატარა ზარები.

ახალი კანონი დირფილდ-ბიჩეს ყველა მოქალაქეზე ვრცელდება. კანონის დამრღვევთ 25 დოლარი ჯარიმა გადახდებათ.

კატებისათვის ყელზე ზარების ჩამოკიდება მოხდა ჩიტების დაცვის საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით.



## კიდევ ერთი ახალი რეკორდი

ფრანგმა ალენ კოლასმა ამას წინათ მოხსნა მსოფლიო რეკორდი, რომელიც 1966-1967 წლებში დაამყარა ცნობილმა ინგლისელმა იახტსმენმა ფრენსის ჩიჩესტერმა.

ფრენსის ჩიჩესტერმა იახტა „ჯიპსი მოტით“, რომელიც ინგლისის ერთ-ერთ ნავსადგურიდან გავიდა, მარტოდმარტომ შემოუარა მთელს მსოფლიოს. მოგზაურობა 225 დღე გაგრძელდა.

ალენ კოლასმა იახტა „მანხუვერათი“ იგივე მანძილი 168 დღეში დაფარა.

ახალი მსოფლიო რეკორდსმენი დღე-ღამეში 604 კილომეტრს გადიოდა და 55 ათას კილომეტრზე მეტი მანძილი გადაცურა.



## დასჯა

ეს ამბავი ამ რამდენიმე ხნის წინათ მოხდა ქალაქ ადრიანში (მიჩიგანის შტატი, აშშ).

რაიონის მოსამართლეს რალფ კონს 10 წუთი დააგვიანდა სასამართლო პროცესზე. მოსამართლემ ფაცაფუცით დაიკავა თავმჯდომარის ადგილი, სული მოითქვა და დარბაზში მყოფთ წინადადება მისცა ფეხზე ამდგარიყვნენ.

სამარისებურ სიჩუმეში რალფ კონმა გამოაცხადა, რომ მოსამართლე რალფ კონი სასამართლო პროცესზე 10 წუთით დაგვიანებისათვის დამნაშავედ ჩაითვალოს და 50 დოლარით დაჯარიმდეს.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ ფემიდას ქურუმი მაგიდას მიუჯდა და მიმდინარე საქმეების გარჩევა დაიწყო.




## შეღავათიანი კანონი

წყალწაღებულთა გადარჩენა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალებს ყოველწლიურად მილიონი მარკა უჯდება. ეს ხარჯები, ნაოსნობის მოყვარულთა ავარიების გახშირებით, სულ უფრო და უფრო მატულობს.

და აი, დასავლეთ გერმანიაში გადაწყვიტეს, წყალწაღებულის გადარჩენისათვის სპეციალური გადასახადი დააწესებინათ. ასე მაგალითად, წყალწაღებულის გადასარჩენად გამოყოფილი ვერტმფრენის ერთი საათით მოცდენა 1 799 მარკა ღირს, მეკავშირე თვითმფრინავის ერთი საათით ფრენა—989 მარკა, სამხედრო კატერის ერთი საათით გამოყენება—500 მარკა.

კანონი შეღავათსაც ითვალისწინებს. იმ შემთხვევაში, თუ წყალწაღებულის გადარჩენა ვერ მოხერხდა, დაღუპულის ოჯახი თავისუფლდება გაწეული ხარჯების ანაზღაურებისაგან.



## დანაშაული იზრდება

როგორც გამოძიების ფედერალური ბიურო იუწყება, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1967 წლიდან დღემდე ყოველგვარი სახის დანაშაული 57 პროცენტით გაიზარდა.

მძიმე დანაშაულის — მკვლელობის, გაუპატიურების, შეიარაღებული დაცემისა და გაძარცვის შემთხვევებმა 64 პროცენტით მოიმატა.

დანაშაულის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, როგორც კონგრესზე სიტყვით გამოსულმა წარმომადგენელთა პალატის წევრმა ჰარინგტონმა აღნიშნა, ცეცხლმსროლელი იარაღის უკონტროლოდ გაყიდვაა. მანვე აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1964 წლიდან 1973 წლამდე მოხდა 95 ათასი მკვლელობა, 800 ათასი ძარცვა, 700 ათასზე მეტი ადამიანი დაიჭრა ცეცხლმსროლელი იარაღით.

ნაირ-ნაირი ნაირ-ნაირი

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: ნიკოლოზ იგნატოვის ნამუშევარი — მოხატულობა ქალაქ თბილისის ფუნიკულიორის ზედა სადგურის ინტერიერში — „ეძლვნება ფიროსმანს“ (წარდგენილია სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად). რეპროდუქცია თ. არჩვაძისა და გ. სეირანიანისა.

ნოდარ ჯანბერიძის წერილი ნიკოლოზ იგნატოვის ამ ნამუშევარზე გამოქვეყნდება ჟურნალ „დროშის“ მომდევნო ნომერში.

გადაეცა ასაწყობად 10/VI-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VI-74 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 53.000 შეკვ. 2281, უე 01820, ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.




— ყვავილების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე...
— თუ ძმა ხარ, მასწავლე, სად არის აქ ყვავილები?..

ნახატი მურთაზ აბაშიძისა.





— მამაჩემმა თქვა, ცხოვრება კიბეა, ზოგი ადის, ზოგი ჩამოდისო.

ნახატი თამაზ ჩაჩავასი.

პირველკლასელები



აი ია. ნახატი ამირან ერაძისა.

უსიტყვოდ.

ნახატი ამირან ერაძისა.



# კროსვორდი



ვერტიკალურად: 1. პოეტი, რომელიც ლირიკულ ლექსებს წერს. 2. ვაჟა-ფშაველას პოემის გმირები. 3. სახელმწიფო ევროპაში. 4. გამოჩენილი ქართველი მოქანდაკე. 5. ბევრის მოლაპარაკე. 6. ტრიგონომეტრიული ტერმინი. 7. ჩასაბერი საკრავი. 13. ქართველი პოეტი. 14. სამეცნიერო ჟურნალების გავრცელებული სახელწოდება. 16. სახელმწიფოებრივი საკრედიტო დაწესებულება. 17. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალა. 18. დაცლილი ვაზნა. 19. ერთპალატიანი პარლამენტი. 22. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოები. 24. ბავშვთა ექიმი. 25. შეთანხმება, კავშირი საერთო მიზნების მისაღწევად. 27. სოფელი ქართლში. 28. რეალიზმის მიმდევარი. 30. დასამწყვდევი მოწყობილობა. 31. სიგრძის საზომი ერთეული.

ჰორიზონტალურად: 8. ქალაქი იაპონიაში. 9. გიორგი ლეონიძის პოემა. 10. დიდი საბჭოთა რუსი მწერალი. 11. ძირითადი როლის შემსრულებლის შემცვლელი. 12. ცნობილი ირლანდიელი მოღვაწე, ქართველოლოგი. 13. სარტყმელი მუსიკალური საკრავი. 15. სახელმწიფო აფრიკაში. 18. დიპლომატიური წარმომადგენლობა. 20. რაიმე აზრის აკვიატება. 21. თეორიული მექანიკის დარგი. 23. ეპიკურ ნაწარმოებთა ერთობლიობა. 26. არაბთა ხელისუფლების წარმომადგენელი საქართველოში, წარსულში. 29. საბჭოთა რუსი პოეტი. 30. ისტორიული ძეგლი საქართველოში. 32. ბაირონის პოემა. 33. ვარსკვლავების მოჩვენებითი გადახრა. 34. გამოშვებული ნაწარმის, საქონლის ალმნუსხველი. 35. ფინანსური ტერმინი.

## „დროშის" № 6-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 7. მალარია. 8. ესენცია. 10. ალამი. 11. ოტავა. 12. უესტი. 13. ხარატი. 15. აკაცია. 17. „მითრიდატე". 18. იტალია. 21. სინუსი. 23. სიცხე. 24. პალმა. 26. მანგო. 27. ინდოეთი. 28. აპარატი.

ვერტიკალურად: 1. ნიავი. 2. ბანქო. 3. პანამა. 4. მირაჟი. 5. ისტრია. 6. ფირალი. 9. დისიმილაცია. 14. ტაიმი. 16. კიტრი. 19. ტალინი. 20. ასანთი. 21. სელაპი. 22. სენატი. 25. აზოვი. 26. მარტი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056